

მონათი ბუბბაკოვი

ბობბი

ქართი

მომბრობა

წილი ამონაწილზე

მორფი

მიხაილ ბულგაკოვი

თბილისი
2017

დიდი ხნის წინ ჭკვიან ხალხს უთქვამს, რომ ბედნიერება ჯანმრთელობასავითაა, როცა იგი შენი ხვედრია, მას ვერც კი ამჩნევ, მაგრამ საკმარისია, დრო გავიდეს და ბედნიერება წლებმა თან გაიყოლოს, მაშინვე იგრძნობ და გაგახსენდება ის ბედნიერი დღეები, ოჰ, როგორ გაგახსენდება!

რაც შემეხება მე და, როგორც ახლა ირკვევა, ბედნიერი ვყოფილვარ 1917 წლის ზამთარში, ამ დაუვინყარ, ქარიშხლიან და ბობოქარ წელს. ამოვარდნილმა გრიგალმა გაზეთის ნაფლეთივით ამიტაცა და მიყრუებული სოფლის მედპუნქტიდან სამაზრო ქალაქში გადამისროლა. იტყვიან, რა მოხდა მერე, რა დიდი რამეა სამაზრო ქალაქიო, მაგრამ თუ ვინმეს ჩემსავით წელიწად-ნახევრის განმავლობაში ერთი ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, ზამთარში მხოლოდ თოვლს ხედავდა, ზაფხულში კი მწირ და უღიმღამო ტყეს, თუ რომელიმე ადამიანს გასული კვირის გაზეთიანი ბანდეროლი ისეთი გულის ფანცქალით გაუხსნია, როგორც ბედნიერ შეყვარებულს ლურჯი კონვერტი, ან ვინმეს მშობიარის გადასარჩენად დაწალიკებული მარხილებით 18 ვერსი თუ გაუვლია, მხოლოდ მან შეიძლება გამიგოს.

ენით აუნერელ სიმშვიდესა და სიმყუდროვეს აფრქვევს ირგვლივ ეს ნავთის ლამპა, მაგრამ მე მაინც ელექტროდენი მირჩევნია.

ბოლოს და ბოლოს, კვლავ ვიხილე მომნუსხავი ელექტრონათურები! იმ პატარა ქალაქში გლახების

მარხილებით კარგად დატკეპნილ მთავარ ქუჩაზე გამოკიდებული იყო და თვალს იტაცებდა მეჩექმის აბრა, ოქროსფერი კრენდელი, წითელი დროშები, ახალგაზრდა კაცის გამოსახულება თავხედური, ღორის მსგავსი თვალებითა და სრულიად არაბუნებრივი ვარცხნილობით, რაც იმას ნიშნავდა, რომ მინიანი კარის მიღმა ადგილობრივი სადალაქო იყო, სადაც 30 კაპიკად გაგპარსავდნენ, როცა მოგესურვებოდათ, დღესასწაულების გარდა, დღესასწაულები კი, მოგეხსენებათ, რა უხვად გააჩნია ჩვენს ქვეყანას.

დღემდე შიშის კანკალით ვიგონებ სადალაქოს საფენებსა და ხელსახოცებს, რომლებიც გერმანული სახელმძღვანელოს იმ ფურცელს მახსენებენ, სადაც ერთ-ერთი ავადმყოფის ნიკაპზე დამაჯერებელი სიცხადითაა გამოხატული მკვრივი შანკრი.

თუმცა ეს ხელსახოცები მაინც ვერ დაჩრდილავენ ჩემს მოგონებებს...

გზაჯვარედინზე მილიციონერი იდგა. დამტკვერილ ვიტრინებში რკინის ლანგრებზე მჭიდროდ იყო ჩარიგებული ჟღალკრემიანი ნამცხვრები. მოედანი თივით იყო მოფენილი, მიდი-მოდიოდნენ ქვეითებიცა და არაქვეითებიც. გამუდმებით ისმოდა საუბარი, მსჯელობა; ჯიხურში იყიდებოდა წინა დღის მოსკოვური გაზეთები, რომლებიც საოცარ და ამალელვებელ ამბებს იუნყებოდნენ; ცოტა მოშორებით ერთმანეთს სტვენით ეხმიანებოდნენ მოსკოვის მატარებლები. ერთი სიტყვით, ეს იყო ცივილიზაცია, ბაბილონი, ნევის პროსპექტი.

საავადმყოფოს ხომ ნულარ იკითხავთ. მას ჰქონდა თერაპიული, ინფექციურ დაავადებათა, ქირურგიული და სამეანო განყოფილებები. ჰქონდა აგრეთვე საოპერაციო, სადაც ლაპლაპებდა ავტოკლავი და ვერცხლისფრად ბრწყინავდა ონკანები. რთული მონყობილობის მაგიდები იხსნებოდა თათებით, ხრახნებით, კბილანებით. მუშაობდნენ ფერშლები, ბებიაქალები, მესასთუმლეები. მთავარი ექიმი და სამი ორდინატორი (ჩემ გარდა). იქვე იყო აფთიაქი და წარმოიდგინეთ – ლაბორატორიაც, რომელსაც ფერთა შთამბეჭდავი მარაგით აღჭურვილი ცეისის მიკროსკოპიც კი ჰქონდა.

შთაბეჭდილებებით ისე ვიყავი სავსე, რომ სულ მაკანკალებდა, მაცხიებდა და მაცხელებდა. დიდი ხნის შემდეგ ძლივს მივეჩვიე იმას, რომ დეკემბრის ბინდბუნდში გახვეული საავადმყოფოს ერთსართულიანი კორპუსები ელექტროდენით ერთბაშად ისე ნათდებოდა, თითქოს ბრძანებას დაემორჩილნენო.

თვალს მჭრიდა ელექტროდენი. აბაზანებში ჩხრი-ალებდა და ბობოქრობდა წყალი, სადაც ჭუჭყით გაზინტული ხის თერმომეტრები დაცურავდნენ და ყურყუმელაობდნენ. ბავშვთა გადამდებ სნეულე-ბათა განყოფილებაში მთელი დღის განმავლობაში დროდადრო გაისმოდა პატარების კვნესა, შესაბრა-ლისი ტირილი, ხრინჩიანი ბუყბუყი...

მომვლელი ქალები გაუთავებლად მიდი-მოდი-ოდნენ, მიმოქროდნენ, საქმიანობდნენ.

მე კი უმძიმესი ტვირთი მომეხსნა. საბედისწე-რო შემთხვევებისგან გავთავისუფლდი, რაც უნდა

მომხდარიყო, პასუხისმგებელი აღარაფერზე ვიყავი. სულაც აღარ ვგრძნობდი თავს მოვალედ ჩაჭედითიანი ავადმყოფების წინაშე, აღარ მეშინოდა და აღარ ვკრთებოდი, როდესაც მარხილით მოჰყავდათ მშობიარეები ნაყოფის გარდიგარდმო მდებარეობით, ასეთ დროს ხომ აუცილებელია ოპერაცია... პირველად ვიგრძენი თავი ადამიანად, რომლის მოვალეობები შეზღუდულია და ადვილად აღსაქმელ ჩარჩოებშია მოქცეული. მშობიარე მოიყვანეს? – აი, გეთაყვა, იქით, სადაც დაბალსართულიანი კორპუსია, ხედავთ იმ ბოლო ფანჯარას, თეთრი დოლბანდი რომ არის ჩამოფარებული? იქ გახლავთ ცოტა მელოტი, სქელ-სქელი, ჟღალულვაშება სიმპათიური ექიმი – აკუშერი. ეს საქმე მას ეხება. მიაბრუნეთ, მიაბრუნეთ მარხილი იქით, იმ ფანჯრისკენ! გართულებული მოტეხილობა? – მიაკითხეთ, ბატონო, ქირურგს, ეს ჩვენი მთავარი ექიმია. ფილტვების ანთება? – მიბრძანდით თერაპიულ განყოფილებაში, პაველ ვლადიმროვიჩთან.

აჰ, ამ ვეება საავადმყოფოს ეს დიდებული მანქანა; იგი ისე აწყობილად და გამართულად მუშაობდა, თითქოს საგულდაგულოდ გაუპოხავთო!

როგორც საჭირო ზომაზე საგანგებოდ გამოჩარხული ახალი ხრახნი, ისე ჩავეხრახნე იმ უზარმაზარ მექანიზმს, იმ აპარატის ნაწილი გავხდი და ჩავიბარე ბავშვთა განყოფილება. მაგრამ ამჯერად თავს დამატყდა ხუნაგი და ქუნთრუშა, მათ დაიპყრეს ჩემი ყოველდღიურობა, თუმცა შთანთქეს მხოლოდ დღეები, ღამლამობით უკვე მეძინა, ვინაიდან

ჩემს ფანჯრებზე აღარ ისმოდა ავის მომასწავებელი ღამეული კაკუნი და ბრახუნი, რათა წყვილიადასა და უკუნეთში გავდგომოდი გარდაუვალი საფრთხითა და საშიშროებით სავსე გზას. კითხვის საშუალებაც მომეცა და საღამოობით ბევრს ვკითხულობდი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ხუნაგისა და ქუნთრუშის შესახებ; საოცარია, მაგრამ უდიდესი ინტერესი გამიჩნდა ფენიმორ კუპერის მიმართაც... ჩემს ყურადღებას იპყრობდა ნავთის ლამპა და ჩაყირჭებული ჩაი ჩემს მაგიდაზე; გულისყურით ვაკვირდებოდი სამოვრის ლანგრის სიძველისგან გაცრეცილ კუთხეებს, და რაც მთავარია, წელიწად-ნახევრის უძილობის შემდეგ სათანადოდ აღვიქვამდი და მთელი არსებით ველოდი ღამის ძილს...

ასეთი ბედნიერი ვიყავი 17 წლის ზამთარში, როდესაც თოვლით გადავსებულ-დანამქრული მიყრუებული მედპუნქტიდან სამაზრო ქალაქში გადამგზავნეს...

გაირბინა ერთმა თვემ, მას მიჰყვა მეორე და მესამეც... დამთავრდა 17 წელი და დადგა 18 წელი. ახალ სამსახურს მშვენივრად შევეგუე და თანდათანობით ჩემი ძველი სამუშაო ადგილი მიმავინწყდა კიდევც. მეხსიერებიდან წარიხოცა მოშიშინე ნავთის ლამპა, გულის გამანვრილებელი მარტოობა, თოვლის ნამქერი... რა უმადური ვარ! როგორ დავივინწყე ჩემი გმირული საბრძოლო პოსტი, სადაც მარტოდ-მარტო, ყოველგვარი დახმარების გარეშე საკუთარი ძალებით ვერკინებოდი უამრავ დაავადებას და ფენიმორ კუპერის პერსონაჟივით ვცდილობდი საშიში და სახიფათო შემთხვევებისგან თავის დაღწევას.

თუმცა ხანდახან, როცა ლოგინში ვწვებოდი და მთელ ჩემს არსებას ტკბილ ძილზე ფიქრი და ოცნება ეუფლებოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონებები გამიელვებდა ხოლმე დაბინდულ გონებაში, მათ შორის მწვანე შუქი, მოციმციმე ფარანი... მარხილის ჭრიალი... ხანმოკლე კვნესა, ხოლო ამას მაშინვე ცვლიდა ღამის წყვილი და მინდორში ქარბუქის ყრუ ღმუილი და ყმუილი. შემდეგ კი ეს ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა და სადღაც ინთქმებოდა.

„საინტერესოა, ნეტავ ვინ მუშაობს იქ ახლა ჩემ მაგივრად?.. რა თქმა უნდა, ვილაცას მონახავდნენ... ალბათ ვინმე ჩემსავით ახალგაზრდა და გამოუცდელი ექიმი... რას ვიზამთ, მე ხომ ჩემი დრო ამოვწურე, კარგა ხანს ვიღვანე იმ მედპუნქტში, ახლა კი ველოდები, როდის გაივლის თებერვალი, მარტი,

აპრილი და შეიძლება მაისიც დამთავრდეს, მერე კი დავემშვიდობები ამ შესანიშნავ სამაზრო ქალაქს და მოსკოვში დავბრუნდები; მაგრამ თუკი რევოლუციამ თავის ფრთებზე ამიტაცა, ალბათ მოგზაურობა კიდევ მომიწევს... ყოველ შემთხვევაში ჩემს მიყრუებულ მედპუნქტს ვერასოდეს ვნახავ... ვერასოდოს... დედაქალაქი... კლინიკა... ასფალტი... ნათურები...“

აი, ასე ვფიქრობდი მაშინ:

„... მაინც რა კარგია, რომ სოფლის მედპუნქტში ვიმუშავე... გაბედული და უშიშარი ადამიანი გავხდი... აღარაფრის მეშინია... რა დაავადება არ მომირჩენია?.. მართლაც უამრავი დაავადება, ჰა?! აი, ფსიქიკური აშლილობა არ მიმკურნალია, თუმცა მოითმინეთ, მოითმინეთ... აგრონომი რომ გონების დაკარგვამდე დათვრა ერთხელ, ხომ ვუმკურნალე?.. თუმცა უშედეგოდ... განა თეთრი ცხელება ფსიქიკური დაავადება არ არის?.. საჭიროა ფსიქიატრიის ნაკითხვა, აჰ, ეშმაკსაც ნაუღია, ახლა არ მინდა, როგორმე მოგვიანებით მოსკოვში მივხედავ ამ საქმეს!.. ახლა კი... პირველ რიგში, ბავშვთა სნეულებანი... და კიდევ ერთხელ ბავშვთა სნეულებანი... და რაც მთავარია, ჩემი მწამებელი ეს კატორღული პედიატრიული რეცეპტურა... ფუ, ეშმაკმა იცის... თუ ბავშვი 10 წლისაა, რამდენი პირამიდონი უნდა მიეცეს ერთ ჯერზე? 0,1 თუ 0,15?.. დამავინყდა. თუ სამი წლისაა?.. მხოლოდ ბავშვთა დაავადებები და სხვა არაფერი... საკმარისია გონების დამაბნელებელი შემთხვევითობები! ვეთხოვები ჩემს სამუშაო უბანს! მშვიდობით!.. ნეტავ დღეს საღამოს ასე და-

ჟინებითა და ჯიუტად რატომ მიტრიალებს თავში ის მედპუნქტი? მწვანე შუქი... მე ხომ ის სამუდამოდ მოვიშორე თავიდან... ჰოდა, დამთავრდა, საკმარისია... მეძინება...“

– წერილია თქვენს სახელზე, საგანგებოდ მოიტანეს.

– აბა, მაჩვენეთ.

მესასთუმლე ქალი წინკარში იდგა, ბენვგაცლილსაყელოიანი პალტო საავადმყოფოს შტამპიან თეთრ ხალათზე ჰქონდა მოსხმული. იაფფასიან ლურჯ კონვერტს თოვლი ალღვებოდა.

– ქსენონში თქვენ მორიგეობთ დღეს? – შევეკითხე მთქნარებით.

– მე.

– სხვა არავინ არის?

– არა, ყველა წასულია.

– თუკი ვინმეს მოიყვანენ, აუცილებლად გამაგებინეთ... მე დავიძინებ... (მთქნარებისგან პირი მომელრიცა და სიტყვებს ძლივს წარმოვთქვამდი).

– კარგი. შეიძლება წავიდე?

– კი, კი, წადით...

მესასთუმლე ქალი წავიდა. კარმა დაიჭრიალა, ფეხების ფრატუნით საძინებელს მივაშურე, თან გზადაგზა კონვერტს უშნოდ და უნესრიგოდ ვხსნიდი თითებით. მასში აღმოჩნდა ჩემი მედპუნქტისა და საავადმყოფოს დაუვინყარი ლურჯბეჭდიანი მოგრძობლანკი, რომელიც მთლად დაჭმუჭნილიყო.

გამეცინა...

„რა საინტერესოა, მთელი საღამო იმ მედპუნქტ-

ზე ვფიქრობდი და თვითონ მეწვია და შემახსენა თავი... რა წინათგრძნობაა...“

ბექდის ქვემოთ ქიმიური ფანქრით რეცეპტი იყო გამონერილი, გაუგებარი ლათინური სიტყვებით, თან გადაჩხაპნილი.

– არაფერი მესმის... რა უთავბოლო რეცეპტია...
– ჩავიბურტყუნე და სიტყვა morphin-ს ჩავაშტერდი. ვითომ რა არის ამ რეცეპტში უჩვეულო და საკვირველი?... აჰ, ჰო, ჰო... ოთხპროცენტიანი ხსნარი! ვინ გამონერა მორფის ოთხპროცენტიანი ხსნარი... და რისთვის?

გადავაბრუნე ქალაღი და უცებ მთქნარება შემინყდა. მეორე მხარეს მელნით გაკრული ხელით და მქრქალად ეწერა:

„11 თებერვალი, 1918 წელი.

ძვირფასო collega!

მაპატიეთ, რომ რეცეპტის ნაგლეჯზე ვწერ. ქალაღი ვერ მოვნახე. უსიამოვნო და მძიმე სენმა დამრია ხელი, ჩემი შველა აღარავის შეუძლია, თუმცა არც მინდა დასამარება ვთხოვო ვინმეს, თქვენ გარდა.

მეორე თვეა თქვენს ყოფილ სამედიცინო უბანზე ვმუშაობ და ვიცი, რომ თქვენ უკვე ქალაქში გადახვედით სამუშაოდ, აქედან ცოტა მოშორებით.

გთხოვთ, გაიხსენოთ უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩვენი მეგობრობა და რაც შეიძლება სწრაფად ჩამოხვიდეთ ჩემთან, ერთი დღით ან ერთი საათით მაინც. თუ ჩათვლით, რომ ჩემი მდგომარეობა უიმედოა, დაგიჯერებთ... ნეტავ შეიძლება კიდევ ჩემი გადარჩე-

ნა? იქნებ შეიძლება? არის ნეტავ რაიმე იმედი? გემუ-
დარებით, არავის უთხრათ ამ წერილის შესახებ“.

– მარია! ახლავე გადადით ქსენონში და დაუძა-
ხეთ მორიგე მესასთუმლე ქალს... რა ჰქვია? ჰო, და-
მა ვინყდა... ერთი სიტყვით, ის მოვიდეს, ვინც წერი-
ლი მომიტანა, რაც შეიძლება სწრაფად.

– ახლავე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მომვლელი ქალი ჩემ-
თან გაჩნდა. კატის გაქუცულბენვიან მის საყელოს
თოვლი ადნებოდა.

– წერილი ვინ მოიტანა?

– არ ვიცი, ვილაც წვერიანი იყო, მგონი, კოოპე-
რატორია. ქალაქში მივდივარო – თქვა.

– ჰმ... კარგი, წადით, თუმცა არა, მოიცადეთ. ბა-
რათს დავწერ და თუ შეიძლება მთავარ ექიმს მიუ-
ტანეთ და პასუხი გამაგებინეთ!

– კეთილი.

ჩემი წერილი მთავარ ექიმს:

„13 თებერვალი, 1918 წელი.

პატივცემულო პაველ ილარიონოვიჩ! ეს-ესაა
წერილი მივიღე ჩემი უნივერსიტეტელი ამხანაგის,
ექიმ პოლიაკოვისგან. იგი ჩემს ყოფილ სამუშაო ად-
გილზე, გორელოვოს მედპუნქტში მუშაობს. ამჟამად
სრულიად მარტოა და მგონი, ძალიან მძიმედაა ავად.
თავს მოვალედ ვთვლი, მოვინახულო; თუ ნებას მომ-
ცემთ, ერთი დღით ექიმ როდოვიჩს ჩავაბარებ ჩემს
განყოფილებას და პოლიაკოვთან გავემგზავრები.
როგორც ჩანს, ის უიმედო მდგომარეობაშია.

პატივისცემით ექიმი ბომგარდი“.

მთავარი ექიმის საპასუხო ბარათი:

„პატივცემულო ვლადიმირ მიხაილოვიჩ, წადით, მოინახულეთ.

პეტროვი“.

მთელი საღამო რკინიგზის გზამკვლევს ვათვალთვლიერებდი. გორელოვომდე შემდეგნაირად შეიძლება ბოდა ჩასვლა: თუ მეორე დღის ორ საათზე მოსკოვის საფოსტო მატარებელს გავყვებოდი, რკინიგზით 30 ვერსის გავლის შემდეგ სადგურზე უნდა ჩამოვსულიყავი და იქიდან გორელოვოს საავადმყოფომდე მარხილით მომიწევდა 22 ვერსის გავლა.

„თუ ხელი შემეწყო, გორელოვოში ვიქნები ხვალ ღამით, – ვიძინებდი და თან ვფიქრობდი, – რით გახდა ნეტავ ავად? ტიფით თუ ფილტვების ანთებით? არც ერთით და არც მეორით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ და მარტივად მომწერდა: „ფილტვების ანთებით ვარ ავად“. მისი წერილი კი ბუნდოვანია და ცოტა არაგულწრფელიც... მძიმე და ცუდი სენი შემეყარაო. რა სჭირს ნეტავ, რითი დაავადდა? ათაშანგით, რა თქმა უნდა, ნამდვილად ათაშანგით. იგი შეძრწუნებულია, ეშინია და ვერ ამხელს... საინტერესოა, სად ვიშოვი ცხენებს სადგურიდან გორელოვომდე წასასვლელად? საქმე ის იქნება, მატარებლით ღამე ჩავიდე და მერე გზა ველარაფრით გავაგრძელო. ოჰ, არა, რაღაცას მოვახერხებ. სადგურზე ვეტყვი ვინმეს, რომ ცხენები მათხოვონ, თვითონ მას ხომ არ გავუგზავნო ტელეგრამ ცხენე-

ბის შესახებ? – არა, ასე არ ივარგებს, იმიტომ, რომ ტელეგრაფი მიუვა მხოლოდ ჩემი ჩასვლის მეორე დღეს, გორელოვომდე ხომ არ გადაფრინდება. სადგურში ჩასვლის შემდეგ კი უნდა იდოს იქ ხელსაყრელ შემთხვევამდე. ვიცი, რაც არის ეს გორელოვო; ოჰ, რა მივარდნილ-მიყრუებული ადგილია“.

ლამპის შუქის რკალში მოქცეული ბლანკიანი წერილი ღამის მაგიდაზე მოჩანდა, მის გვერდით კი იდო პაპიროსის ნამწვებით აჩხორილი საფერფლე, ჩემი გულის გამანვრილებელი უძილობის უტყვი მონმე.

ვტრიალებდი აბურდულ-ანენილ სანოლში და თანდათან სიბრაზე მიპყრობდა, მიღებული ბარათი უკვე მალიზიანებდა.

მართლაცდა, თუ რაიმე მწვავე დაავადება არა აქვს, მაგალითად ათაშანგი, თვითონ რატომ არ უნდა ჩამოსულიყო აქ და ამ ქარბუქში მე რატომ უნდა გავუდგე გზას, მე რა, ერთ სალამოს მოვარჩენ ლუესისგან და ყელის კიბოსგან თუ რა? რა კიბო, რის კიბო, ჩემზე ორი წლითაა უმცროსი, 25 წლისაა... „მძიმე სენი“, იქნებ სარკომა აქვს? რა აბდაუბდა და ისტერიკული წერილია. ასეთმა წერილმა შეიძლება შაკიკი მოჰგვაროს ადრესატს. აი, მგონი, მეწყება კიდევც; საფეთქლებზე უკვე დამეჭიმა ძარღვები, დილით კი რომ გავიღვიძებ ტკივილი კეფაზე გადამივა, თავს დამიმძიმებს და მთლად გამასავათებს, მერე უნდა ვცლაპო სალამომდე პირამიდონი კოფეინით. როგორი საქმეა მარხილში პირამიდონით მგზავრობა. ფერშალს სამგზავრო ქურქი უნდა ვთხოვო, ჩემს

პალტოში გავითოშები. ნეტავი რა დაემართა, რით არის ავად?

ასე წერენ მხოლოდ რომანებში და არა ექიმისთვის დაწერილ სერიოზულ წერილში!.. ახლა კი ძილი, მხოლოდ ძილი. ძარღვი უკვე მიფეთქავს... რა უფლება მაქვს, ვინმეს გავუბრაზდე უცნაური წერილის გამო მაშინ, როდესაც ჯერ არ ვიცი რაშია საქმე. ადამიანი თავისებურად განიცდის და სწერს წერილს მეორე ადამიანს, რასაც ფიქრობს და როგორც შეუძლია... განა ეს მეკადრება? გულშიც კი არ უნდა გამევილო მისი გაკიცხვა ჩემი შეწუხებისა და შაკიკის გამო. შეიძლება მისი წერილი გულწრფელია, თან სულაც არ არის გამოგონილი და შეთხზული. მართალია, სერიოზუა პოლიაკოვი ორი წელია არ მინახავს, მაგრამ იგი მშვენივრად მახსოვს. ის ყოველთვის წინდახედული ადამიანი იყო... ჰო, ესე იგი, რალაც უბედურება დაატყდა თავს... თითქოს აღარ მეჭიმება ძარღვი, გამიარა და თან, როგორც ჩანს, ძილიც მერევა. ნეტავი რაში მდგომარეობს ძილის მექანიზმი?.. რალაც კი წავიკითხე ამის შესახებ ფიზიოლოგიაში... მაგრამ ყველაფერი ძალიან ბუნდოვანია... საიდუმლოდ უნდა გითხრათ, ვერაფერი გავიგე. რატომღაც მგონია, რომ თვით ფიზიოლოგის შემდგენელიც არ არის ბევრ რამეში დარწმუნებული. ვფიქრობ, ყველა თეორია ერთნაირია. აი, ძილ-ბურანში ჩავიძირე და ვხედავ ოქროსლილებიან მწვანე ქურთუკში გამონყობილ სერიოზუკა პოლიაკოვს, რომელიც თავს დასდგომია თუთიის მაგიდას, მაგიდაზე კი გვამია... ჰმ... ...ჰო, ეს ხომ სიზმარია.

კაკ-კუკ... ტყაპ-ტყუპ-ტყაპ-ტყუპ... ჰა... რა არის?
ვინ არის?.. აჰ, აკაკუნებენ... ეშმაკმა იცის... მგონი,
აკაკუნებენ... სად ვარ? რას ვაკეთებ?.. რაშია საქმე?..
ჰო, ლოგინში ვწევარ... რატომ მალვობენ? ამის უფ-
ლება აქვთ, იმიტომ, რომ მორიგე ვარ... ექიმო ბომ-
გარდ, გაილვობეთ! აგერ მარიაც წაფრატუნდა კარის
გასაღებად. რა დროა? პირველის ნახევარია... შუა-
ღამეა, ესე იგი, მეძინა მხოლოდ ერთი საათი. ნეტავი
შაკიკი რას მიპირებს? არ მეშვება, აი, ისიც!

კარზე ნელი კაკუნი გაისმა.

– ვინ არის, რაშია საქმე?

სასადილო ოთახის კარი გავაღე და დავინახე მე-
სასთუმლე ქალი, მიუხედავად სიბნელისა, კარგად
გავარჩიე მისი ფერწასული სახე, გაფართოებული
და შეშფოთებული თვალები.

– ვინ მოიყვანეს?

– გორელოვოს მედპუნქტის ექიმი, – ხმამაღლა
და ხრინწიანად მიპასუხა მან, – თავის მოკვლა გადა-
უნწყვეტია, რევოლვერით.

– პოლიაკოვი? შეუძლებელია! პო-ლია-კოვი?

– გვარი არ ვიცი.

– აი, რას გეტყვით... ახლავე მოვდივარ, ახლავე;
თქვენ კი მთავარ ექიმთან მიირბინეთ და ჩემ მაგივ-
რად სთხოვეთ, რომ ქსენონში გადმოვიდეს, დაუ-
ყოვნებლივ...

ქალი ადგილიდან მოწყდა, დიდი თეთრი ლაქა
მყისვე თვალს მიეფარა.

ორიოდე ნუთის შემდეგ გაავებული და გაკაპასე-
ბული ქარბუქი ზღურბლზევე სახეში გააფთრებით
მეცა, დამსუსხა, პალტოს კალთები ამიფრიალა და
შიშით შეპყრობილი მთელი ჩემი არსება მთლად გა-
მითოშა.

ქსენონის ფანჯრებში მოუსვენრად პარპალებ-
და თეთრი შუქი. თოვლით გადავსებულ ზღურბლზე
მე და მთავარი ექიმი ერთმანეთს შევეჩხეთ. ისიც
იქით მიდიოდა, საითაც მე მივიჩქაროდი.

– ეს ის თქვენი პოლიაკოვია? – ხველებით შემე-
კითხა ქირურგი.

– არაფერი მესმის, როგორც ჩანს, ის არის, – მი-
ვუგე და ორივემ გამალებით მივაშურეთ ქსენონს.

სკამიდან ადგა და ჩვენს შესახვედრად გამოემარ-
თა თბილად ჩაფუთნილი ქალი. შუბლზე ჩამონეული
მუქი თავშლიდან ნამტირალევი თვალების ნაცნობი
გამოხედვა ვიგრძენი. მაშინვე ვიცანი მარია ვლასი-
სიევნა, ბებიაქალი გორელოვოს საავადმყოფოდან,
მშობიარეების მიღების დროს ჩემი ერთგული დამ-
ხმარე.

– პოლიაკოვია? – შევეკითხე.

– დიახ! – მიპასუხა მარია ვლასიევნამ, – ეს რა სა-
შინელებაა, ექიმო, მოვდიოდით და თან მთელი გზა
შიშით ვკანკალებდი.

– როდის მოხდა?

– დღეს დილით გამთენიისას, – ლულულულებდა
მარია ვლასიევნა, – დარაჯმა მოირბინა და თქვა...
„ექიმის ბინიდან სროლის ხმა გაისმაო“...

ლამპის სიახლოვეს მწოლიარე ექიმ პოლიაკოვს

სინათლის შუქი უსიამოვნოდ და ავის მომასწავებლად დაჰნათოდა. მძიმე ავადმყოფის დანახვაზე გული გადამიქანდებოდა ხოლმე და ამჯერადაც ასე დამემართა, როცა თექისჩექმებიან ქვასავით გახევებულ მის ფეხებს შევაველე თვალი.

მას ქუდი მოხადეს და დავინახე მისი სველი ანენილ-აბურდული თმა. ჩემი და ბებიაქალის, მარია ვლასიევნას ხელები პოლიაკოვის სიახლოვეს ამოძრავდნენ და პალტოდან მაშინვე ამოვაცალეთ წითელ-ყვითლად გაჟღენთილი თეთრი დოღბანდის ნაჭერი. მკერდი სუსტად აუდიოდ-ჩაუდიოდა. მაჯა გავუსინჯე თუ არა, შევკრთი, პულსი თითებში მეკარგებოდა, შემდეგ კი სუსტი, უხილავი ძაფივით თითქოს ალაგ-ალაგ იჭიმებოდა და ისევ წყდებოდა. ქირურგის ხელი უკვე შეეხო მის მხარს ნემსის გასაკეთებლად, ორი თითით კანი ამოუნია. მაშინ კი დაჭრილმა პირი გააღო, მოვარდისფრო სისხლიანი ტუჩები ოდნავ შეარხია და ნაძალადევად ძლივს წარმოთქვა:

– არავითარი ქაფური, ჯანდაბას ყველაფერი!
– გაჩუმდით, – შეეხმიანა ქირურგი და მოყვითალო ზეთი კანქვეშ შეუშხაპუნა.

– როგორც ჩანს, გულში აქვს მოხვედრილი, – ჩაიჩურჩულა მარია ვლასიევნამ, მაგიდას მოხერხებულად მიუდგა და დაჭრილის ჩაკარგულ ქუთუთოებს ჩააშტერდა (მას თვალები არც გაუხელია), ხოლო ცხვირის ირგვლივ კი შესამჩნევი ხდებოდა მიმწუხრის ჩრდილებისმაგვარი რუხი იისფერი ლაქები, რომლებზეც ვერცხლისწყლის მსგავსი ოფლის წვეთები ცვარნამად დაპკურებოდა.

– რევოლვერით უსვრია? – ისე იკითხა ქირურგმა, თითქოს ყბა მოექცაო.

– ბრაუნინგით. – ჩაიჩურჩულა მარია ვლასიევნამ.

– ეეჰ, – მწყრალად და გულდანყვევით წარმოთქვა ქირურგმა, ხელი ჩაიქნია და იქაურობას გაეცალა.

უცებ ვერ გავერკვიე, რა მოხდა, შეშინებული მისკენ შევტრიალდი, გვერდიდან კი ვილაცის მზერა ვიგრძენი, კიდევ ერთი ექიმი შემოსულიყო.

მოულოდნელად პოლიაკოვს პირი ისე მოელრიცა, როგორც მძინარე ადამიანს, რომელსაც ბუზის თავიდან მოშორება უნდა, მაშინვე ქვედა ყბა შეუტოკდა, თითქოს ყელზე რალაც დაადგა და გადაყლაპვას ცდილობსო. აჰ, რა ნაცნობია ეს მოძრაობა მათთვის, ვისაც ნატყვიარი ჭრილობები უნახავს. მარია ვლასიევნამ კოპები შეიკრა და ღრმად ამოიოხრა.

– ექიმი ბომგარდი სად არის? – ძლივს გასაგონად ამოთქვა პოლიაკოვმა.

– აგერ ვარ, – გავეპასუხე მას და მის სახესთან ჩემი ჩურჩული გულთბილად და თანაგრძნობით გაისმა.

– რვეული თქვენთან იყოს... – ხმაჩახლეჩით ამოილაპარაკა მთლად ძალაგამოცლილმა და დასუსტებულმა პოლიაკოვმა. ამ დროს კი თვალები გაახილა და ზემოთ აღაპყრო მზერა ქსენონის უსიხარულოდ ჩაშავებული სიღრმისკენ, რომელიც თითქოს უკუნეთს ერწყმოდა, თითქოს შინაგანი იდუმალი ნათ-

ლით აევსო თვალის ჩამუქებული გუგები, მათ ირ-
გვლივ თეთრი გარსი კი გამჭვირვალე და მოცისფ-
რო გაუხდა, ზეაპყრობილი თვალები გაუშტერდა,
შემდეგ აემღვრა და ჩაქრა მათი მყისიერი ცისფერი
გამჭვირვალობა.

ექიმი პოლიაკოვი მიიცვალა.

შუალამეა, განთიადი ახლოვდება. ძალუმად კაშ-
კაშებს ნათურა, რადგან ქალაქს სძინავს და ელექ-
ტროდენზე დატვირთვა ნაკლებია. ირგვლივ ყვე-
ლაფერი სიჩუმეს მოუცავს. პოლიაკოვის ცხედარი
სამლოცველოშია.

კითხვით დაღლილ-დაქანცული თვალებით მაგი-
დაზე დავყურებ გახსნილ კონვერტსა და ფურცელ-
ქაღალდს, სადაც წერია შემდეგი:

„ძვირფასო მეგობარო!

როგორც ჩანს, არ დაგელოდებით. გადავიფიქრე,
აღარ მსურს მკურნალობა. აზრი აღარაფერს აქვს,
ამდენი ტანჯვა აღარ შემიძლია. საკმაოდ ბევრს ვე-
ცადე. ყველას ვაფრთხილებ: მოერიდეთ 25 წილ
წყალში ხსნად თეთრ კრისტალებს, ამან ძალიან გა-
მიტაცა და ამით დავიღუპე კიდეც. ჩემს დღიურებს
თქვენ გიტოვებთ, რადგან ყოველთვის გთვლიდით
ცნობისმოყვარე და ცხოვრებისეული დოკუმენტე-
ბის მოყვარულ ადამიანად; თუ დაგაინტერესებთ,
ნაიკითხეთ ჩემი ავადმყოფობის ისტორია.

მშვიდობით, თქვენი ს. პოლიაკოვი“.

მინანური მსხვილი ასოებით:

„ჩემს სიკვდილში არავის მიუძღვის ბრალი, გთხოვთ,
არავინ დაადანაშაულოთ.

ექიმი სერგეი პოლიაკოვი.
13 თებერვალი, 1918 წელი“.

წერილთან ახლოს იდო საერთო რვეულის მსგავსი შავმუშამბაგადაკრული რვეული. მისი ფურცლების პირველი ნახევარი მთლად ამოხეული ჩანდა. დარჩენილი ნახევარი მოკლე ჩანაწერებს ეკავა, რომლებიც დასაწყისში წვრილი და გარკვეული ხელით, ფანქრითა და მელნით, ხოლო ბოლოში ქიმიური და მსხვილი წითელი ფანქრით უყურადღებოდ და დაუდევრად, უამრავი შემოკლებული სიტყვით იყო ნაწერი.

„...7 წელი 1, 20 იანვარი.

...ძალიან მიხარია, რომ აქ მოვხვდი. მადლობა ღმერთს, რაც მეტად მივარდნილი და უკაცრიელი ადგილია, მით უკეთესი ჩემთვის. ადამიანების დანახვა არ შემიძლია და, რა თქმა უნდა, მე აქ ვერავის ვნახავ, გარდა ავადმყოფი გლეხებისა და სოფლის მცხოვრებლებისა. ისინი კი ჩემს სულიერ ქრილობას არ შეეხებიან. ბევრი ჩემი თანაკურსელი ასე ჩემნაირად სამაზრო მედპუნქტებში მოხვდა. მთელი ჩვენი გამოშვება, რომელიც ჯარში განვევას არ ექვემდებარებოდა, მაზრებში გაანაწილეს; ესენი იყვნენ 1916 წლის გამოშვების მე-2 ჯგუფის მხედრიონის რიგითი ჯარისკაცები. თუმცა ეს დიდად არავის აინტერესებს. მეგობრებიდან მხოლოდ ივანოვისა და ბომგარდის ადგილსამყოფელი ვიცი. ივანოვმა არხანგელსკის გუბერნია აირჩია (კაცია და გუნება), ხოლო, როგორც ფერშალმა ქალმა თქვა, ბომგარ-

დიც ჩემსავით მივარდნილ გორელოვოს მედპუნ-
ქტში მუშაობს – აქედან სამი მაზრის მოშორებით;
მინდოდა შევხმიანებოდი მას, მაგრამ გადავიფიქრე,
აღარავისთან მსურს ურთიერთობა.

21 იანვარი.

ქარბუქია, სხვა ისეთი არაფერია საინტერესო.

25 იანვარი.

რა მშვენიერი და ნათელი დაისია. მიგრენინი – ეს
არის შენაერთი antipirin-ის, კოფეინისა და ac.sitric-ის.
1,0-იანი ფხვნილი... შეიძლება 1,0 – ესე იგი, შეიძლება.

3 თებერვალი.

დღეს მივიღე გასული კვირის გაზეთები, არ წამი-
კითხავს, მაგრამ თეატრების აფიშებს კი გადავხედე.
გასულ კვირას „აიდა“ წარმოუდგენიათ. ესე იგი, ის
გამობრძანდა სცენაზე და მღეროდა: „ჩემო ძვირფა-
სო, მოდი ჩემთან“...

რა არაჩვეულებრივი ხმა აქვს და საკვირველია,
ბილნი სულის ადამიანს როგორ მიანიჭა ბუნებამ
ასეთი ბრწყინვალე და იშვიათი ხმა...

(აქ გამოტოვებულია და ამოგლეჯილია ორი თუ
სამი გვერდი).

... ექიმო პოლიაკოვ! არ გეკადრებათ უღირსი საქ-
ციელი; რა ბავშვური უჭკუობაა უშვერი სიტყვებით
გალანძლო ქალი იმისთვის, რომ მან მიგატოვა! არ
უნდოდა შენთან ცხოვრება და წავიდა, დამთავრდა!
მარტივი და გასაგებია ყველაფერი. ოპერის მომღე-
რალი ქალი დაუახლოვდა ახალგაზრდა ექიმს, ერთი
წელი იცხოვრა მასთან და გაეცალა.

მოსაკლავია? მოვკლა თუ რა ვქნა? აჰ, რა სისულელეა, ფუჭი და ამაოა ყოველივე. უიმედობა მეუფლება...

არ მინდა არაფერზე ფიქრი, არ მინდა...

11 თებერვალი.

გაუთავებელი ქარბუქია, გაუთავებელი. მთლად დაგვნამქრა! მთელი საღამოები მარტოდმარტო ვარ. ვანთებ ლამპას და ვზივარ ჩემთვის. დღე კი ვხედავ ადამიანებს, მაგრამ ვმუშაობ მექანიკურად, თუმცა სამუშაოს უკვე მივეჩვიე, რადგან იგი ისე საშიშად აღარ მეჩვენება, როგორც წინათ მეგონა. როგორც ჩანს, ომის დროს საველე ჰოსპიტალში სამსახური ძალიან დამეხმარა, აქ მთლად უცოდინარი არ ჩამოვსულვარ.

დღეს პირველად გავაკეთე ნაყოფის შემოსაბრუნებელი ოპერაცია მშობიარეზე.

ამრიგად, აქ სამი ადამიანია თოვლში მთლად ჩაფლული: მე, ანა კირილოვნა, ბებიაქალი და ფერშალი. ფერშალი ცოლიანია. ისინი (დამხმარე პერსონალი) ცხოვრობენ ფლიგელში. მე კი ცალკე ვარ, მარტო.

15 თებერვალი.

გუშინ საღამოს უჩვეულო და საინტერესო რამ მოხდა, ის-ის იყო დასაძინებლად ვწვებოდი, რომ ამ დროს საშინელი ტკივილი ვიგრძენი კუჭის არეში, ენით აუნერელი ტკივილი. ჭირის ოფლმა დამასხა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სამედიცინო მეცნიერება სულაც არ არის სანდო. რას შეიძლება მივანეროთ, რომ ადამიანს, რომელსაც კუჭ-ნაწლავისა

და მუცლის ღრუს არავითარი დაავადება არ ანუხებს (მაგ. აპენდიციტი), ჯანმრთელი თირკმლები და ღვიძლი აქვს, ნაწლავები ნორმალურად ფუნქციონირებს, ამ ადამიანს რისგან შეიძლება მოუაროს ისეთმა ტკივილებმა, რომ ღამით ლოგინში შამფურძვით იტრიალოს...

კვნესა-კვნესით სამზარეულომდე ძლივს მივალწიე; იქ მზარეული ქალი და მისი ქმარი ვლასი ცხოვრობენ. ვლასი გავგზავნე ანა კირილოვნასთან. ის მოვიდა ჩემთან შუალამისას და იძულებული იყო, ჩემთვის მორფი შეეშხაპუნებინა, თან მითხრა, რომ საშინელი მწვანე ფერი მედო. ნეტავ, რა დამემართა?

ჩვენი ფერშალი რალაც არ მომწონს, ცოტა უჟმური კაცია. ანა კირილოვნა კი სანდომიანი და თანაც განვითარებული ადამიანია, ხანდაზმული სულაც არ არის და საკვირველია, როგორ შეუძლია მარტოდმარტოს ამ თოვლის აკლდამაში ცხოვრება. მისი ქმარი ტყვედ არის გერმანიაში.

არ შემიძლია ქება-დიდებათ არ მოვიხსენიო ის, ვინც ყაყაჩოს მარცვლებიდან პირველად შექმნა მორფი, კაცობრიობის ნამდვილი კეთილისმყოფელი ის ყოფილა. ინიექციის შემდეგ ოთხიოდე წუთში ზიგზაგისებურმა ტკივილმა ცოტა შვება მომცა.

კარგი იქნებოდა, ექიმს ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ბევრი წამლის მოქმედება საკუთარ თავზე გამოცადოს, მაშინ სხვანაირი იქნებოდა მისი შეხედულება ამ წამლებზე. ნემსის შემდეგ, პირველად, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ღრმა ძილით მეძინა. – აღარც მიფიქრია მასზე, ვინც მომატყუა.

16 თებერვალი.

დღეს ავადმყოფების მიღებისას ანა კირილოვნამ მკითხა, როგორ ვგრძნობდი თავს და თან დასძინა, რომ ამ დროის განმავლობაში პირველად მხედავდა ხალისიანსა და შუბლგახსნილს.

– ნუთუ პირქუში ადამიანი ვარ?

– ძალიან, ძალიან, – დარწმუნებით მიპასუხა მან და დაუმატა, რომ უკვირს როგორი სიტყვაძვირი ვარ და სულ რატომ ვდუმვარ.

– ასეთი ადამიანი ვარ და რა ვქნა!

ეს ხომ ტყუილი გამომივიდა. ძალიანაც ხალისიანი ვიყავი, ვიდრე ოჯახური დრამა შემემთხვეოდა.

რა მალე ბინდდება. კვლავ მარტო ვარ ჩემს ბინაში. საღამოს ისევ დამეწყო ტკივილები, მაგრამ ძალიან ძლიერი არა, სადღაც მკერდის ძვლის იქით, სიღრმეში; გუშინდელი შეტევის ანარეკლს უფრო ჰგავდა. ძლიერი ტკივილის გამეორების შემეშინდა და თვითონ შევიშხაპუნე ბარძაყში ერთი სანტიგრამი.

ტკივილი უცებ, თითქმის თვალის დახამხამებაში გამიყურდა. კარგია, რომ ანა კირილოვნამ წამლიანი ფლაკონი დამიტოვა...

18-ში.

ოთხი ინიექცია სულაც არ არის საშიში.

25 თებერვალი.

რა უცნაურია ეს ანა კირილოვნა! თითქოს მე ექიმი არ ვიყო!

1 $\frac{1}{2}$ შრატი უდრის 0,015 მორფს? დიახ, დიახ!

1-ლი მარტი.

ექიმო პოლიაკოვ, ფრთხილად იყავით!

სისულელეა!

ბინდბუნდი.

უკვე ნახევარი თვეა, აღარც კი მიფიქრია ქალზე, რომელმაც მომატყუა, მილალატა. მისი ამნერისის პარტიის მელოდიაც მიმავინყდა. და ამით ძალიან ვამაყობ; მე ხომ მამაკაცი ვარ.

არავინ იცის იმის შესახებ, რომ მე და ანა კირილოვნა არაოფიციალური ცოლ-ქმარი ვართ. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ჩვენ ორივენი ხომ ამ უკაცრიელი კუნძულის ტყვეობაში ვიმყოფებით.

თოვლმა ფერი იცვალა, სიკაშკაშე დაკარგა და რუხი გახდა. მართალია, მძვინვარე ყინვები აღარ არის, მაგრამ ქარბუქი ისევ შეგვახსენებს ხოლმე თავს.

პირველ წუთებში ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ყელზე რალაცა შეგეხოს. ეს შეხება თანდათან თბება და ფართოვდება. შემდეგ წუთებში გულის კოვზთან უცებ ცივი ტალღა გადაივლის, ამის შემდეგ არაჩვეულებრივად ნათდება გონება და იწყება ენერჯის მოზღვავება. ყოველგვარი უსიამოვნო შეგრძნება ქრება. ეს არის ადამიანის სულიერი ძალების გამოვლენის უმაღლესი ფაზა.

მე რომ სამედიცინო მეცნიერებით არ ვიყო დატენილი და დათრგუნვილი, ვიტყოდი, რომ ნორმალური მუშაობა ადამიანს შეუძლია მხოლოდ მორფის გაკეთების შემდეგ. მართლაცდა, რას წარმოადგენს

ისეთი ადამიანი, რომელიც წყობიდან გამოჰყავს უმნიშვნელო ნერვულ აშლილობასაც კი.

ანა კირილოვნას ეშინია; იგი დავანყნარე და ვუთხარი, რომ ბავშვობიდან უდიდესი ნებისყოფით გამოვირჩეოდი.

2 მარტი.

ხმები დადის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ამბობენ, თითქოს ნიკოლოზ II ჩამოაგდეს.

ძალზე ადრე ვწვები დასაძინებლად, ასე 9 საათზე. მძინავს მშვიდად და წყნარად.

10 მარტი.

რევოლუცია მოხდა. დღე გადიდდა, თითქოს ბინდი მოციხფრო გახდა. გამთენიისას ასეთი სიზმრები არასოდეს მინახავს, როგორც ახლა. ეს რაღაც ორმაგი სიზმრებია, თანაც მინდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი, უფრო მთავარი, თითქოს მინისაა და გამჭვირვალე.

მაშ ასე, ვხედავ უცნაურად განათებულ რამპას, საიდანაც მრავალფეროვანი უწყვეტი ლენტვიით ბრჭყვიალებენ ნათურები. მწვანე ბუმბულის რხევით მღერის ამნერისი. მართლაც რომ არაამქვეყნიური ორკესტრი არაჩვეულებრივი კეთილხმოვნებით გამოირჩევა. მოკლედ, ყოველივე ამის გადმოცემა სიტყვებით არ შემოიძლია. ერთი სიტყვით, ნორმალურ სიზმარში მუსიკა უხმოა... (ნორმალური? თუმცა ისიც საკითხავია, რომელი სიზმარია ნორმალური! ეს ისე, ხუმრობით!..), ჩემს სიზმრებში კი ის რაღაც ციურად ისმის და რაც მთავარია, ჩემი სურვილის მიხედვით შემოიძლია შევასუსტო ან

გავაძლიერო მუსიკის ხმოვანება. მახსენდება, „ომ-სა და მშვიდობაში“ როგორ არის აღწერილი პეტია როსტოვის ნახევრად სიზმრის მსგავსი განცდები. ლ. ტ. შესანიშნავი მწერალია.

ახლა რაც შეეხება გამჭვირვალობას. მაშ ასე, აიდას მბზინვარე ფერებში სრულიად რეალურად გამოიკვეთა ლამპა, ლაპლაპა იატაკი და ჩემი საწერი მაგიდის კიდე, იგი ჩემი კაბინეტის კარიდან მოჩანს და გარკვეულად მესმის მიყუჩებული კასტანიეტებით სასიამოვნო ნაბიჯების ხმა, რომელიც გამოეყოფა დიდი თეატრის ორკესტრის ხმოვან ტალღას.

ესე იგი, რვა საათია, ანა მოდის ჩემს გასაღვიძებლად და იმის სათქმელად, თუ რა მდგომარეობაა მიმღებში.

ის ვერ ხვდება, რომ ჩემი გაღვიძება არ არის საჭირო, მე ყველაფერი მესმის და შემოიძლია მასთან დალაპარაკება.

გუშინ აი, ასეთი ცდა ჩავატარე:

ანა – სერგეი ვასილიევიჩ...

მე – მესმის, მესმის...

მუსიკა – უდიდესი აკორდია.

დე-დიეზი...

ანა – 20 ავადმყოფია ჩანწერილი.

ამწერისი (მღერის)

ერთი სიტყვით, ამის ქაღალდზე გადმოცემა შეუძლებელია.

მავნებელია ასეთი სიზმრები? ოჰ, არა. ასეთი სიზმრების შემდეგ მხნედ და ღონივრად ვგრძნობ თავს. მუშაობითაც კარგად ვმუშაობ, ინტერესიც

გამიჩნდა, წინათ კი ამას ვერ ვგროძობდი. რა გასაკვირია, მთელი გონება გადატანილი მქონდა ჩემს ყოფილ ცოლზე. ახლა კი მშვიდად ვარ, მშვიდად.

19 მარტი.

ლამით ანა კირილოვნას ვეჩხუბე.

– აღარ მოგიმზადებთ საინიექციო ხსნარს!

შევეცადე მის დარწმუნებას.

– რა სისულელეა, ანუსია. ბავშვი ხომ არ ვარ?

– არ მოგიმზადებთ, თქვენ დაიღუპებით.

– როგორც გინდათ, მაგრამ გაიგეთ, რომ მკერდის არეში ტკივილები მაქვს.

– იმკურნალეთ.

– სად?

– შვებულება აიღეთ და წადით. მორფით მკურნალობა არ შეიძლება. – შემდეგ ჩაფიქრდა და დაუმატა: – თავს ვერ ვაპატიებ, რომ მეორე ფლაკონი გაგიმზადეთ მაშინ.

– მორფინისტი ხომ არ ვარ?

– თქვენ აუცილებლად გახდებით მორფინისტი.

– ესე იგი, არ გამიკეთებთ?

– არა.

მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ დამჩემდა ცუდი თვისება, ვბრაზობ და რაც მთავარია, ვუყვირი ადამიანს მაშინ, როცა თვითონ არა ვარ მართალი. თუმცა ეს უცებ არ მომხდარა... ამის შემდეგ შევედი საძინებელში. ფლაკონი დავინახე, მასში მოჩანდა ცოტაოდენი ხსნარი, შპრიცით ამოვიღე, შპრიცის 1/4 ძლივს გამოვიდა. მოვისროლე, კინალამ გატყდა და ავკანკალდი. მალე ისევ ავიღე, დავათვალიერე,

ბზარიც კი არ ჰქონდა არსად. კარგა ხანს ვიჯექი, ალბათ ოციოდე წუთს, გამოვედი და ქალი წასული დამხვდა. წავიდა.

წარმოიდგინეთ, ვერ მოვითმინე და გადავედი მასთან. მისი ფლიგელის განათებულ ფანჯარაზე დავაკაკუნე. ის ზღურბლზე შალმოხვეული გამოჩნდა. წყნარი ღამე იყო. ირგვლივ სიფაფუკედაკარგული თოვლი იდო. სადღაც შორს, ცის დასალიერიდან კი თითქოს გაზაფხულის სუნთქვა აღწევდა.

– ანა კირილოვნა, გეთაყვა, ძალიან გთხოვთ, მომეცით აფთიაქის გასაღები!

– არ მოგცემთ, – მითხრა ჩურჩულით.

– მეგობარო, გემუდარებით, მომეცით გასაღები, გეუბნებით როგორც ექიმი.

ბინდბუნდშიც კი შევნიშნე, როგორ შეეცვალა სახე, სითეთრემ გადაჰკრა, თვალები ჩაულრმავდა, ჩაუშავდა და თითქოს სადღაც ჩაეკარგა, თან ისეთი ხმით მიპასუხა, რომ მის გაგონებაზე სინანულის გრძნობა დამეუფლა, თუმცა მაშინვე სიბრაზემ მძლია. ქალმა მიპასუხა:

– რატომ, ასე რატომ ლაპარაკობთ? აჰ, სერგეი ვასილიევიჩ, როგორ მებრალებით! – თქვა და მოფარებული შალიდან ხელი გამოჰყო, ხელში კი გასაღები დავინახე. ესე იგი, ჩემთან რომ მოდიოდა, გამოიყოლა.

მე (უხეშად): – მომეცით გასაღები! – ვუთხარი და ხელიდან გამოვტაცე გასაღები და საავადმყოფოს თეთრი კორპუსისკენ გავემართე. უამინდობისას სასიარულოდ მიწაზე დაყრილი დამპალი ფიცრები ჩემს ფეხქვეშ ხტუნავდნენ და კორიკობდნენ.

მძვინვარებამ მომიცვა უპირველესად იმიტომ, რომ წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მომეზადებინა მორფის საინიექციო ხსნარი. მე ხომ ექიმი ვარ და არა ფერშალი!

მივდიოდი და თან მაკანკალებდა. ვგრძნობდი, ერთგული ნაგაზივით როგორ მომყვებოდა უკან ანა; სათუთმა გრძნობამ მოიცვა მთელი ჩემი არსება, მაგრამ სასწრაფოდ ჩავახშე იგი, მივტრიალდი და კბილების ღრჭენით მივმართე:

– გამიკეთებთ თუ არა?

მან ხელი უიმედოდ ჩაიქნია, რაც ნიშნავდა, მაინც სულ ერთიან და თან დაუმატა:

– კარგი, გაგიკეთებთ...

ერთი საათის შემდეგ ნორმალურად ვგრძნობდი თავს. რა თქმა უნდა, პატიება ვთხოვე ჩემი უნებლიე უხეშობის გამო. თვითონაც არ ვიცო, ეს როგორ დამემართა, წინათ, თავაზიანი ადამიანი ვიყავი.

მობოდიშების შემდეგ ქალის საქციელმა გამაოცა. ის მუხლებზე დაეცა, ხელებზე მომეხუტა და ამოილაპარაკა:

– სულაც არ გინყრებით, არა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ილუპებით, ვგრძნობ. თავბედს ვინყევლი, რატომ შეგიშხაპუნეთ მაშინ მორფი.

როგორც შემედლო დავანყნარე და ვარწმუნებდი, რომ ის აქ არაფერ შუაში იყო, რომ მე თვითონ ვაგებდი პასუხს ჩემს ყოველ ნაბიჯზე. პირობა მივეცი, რომ ხვალღან დოზას შევამცირებდი და თანდათან გადავეჩვეოდი...

– ახლა რამდენი გაიკეთეთ?

– ძალიან ცოტა. სამი შპრიცი ერთპროცენტის ხსნარით.

მან თავზე ხელები შემოიჭდო და გაჩუმდა.

– გთხოვთ, არ ინერვიულოთ! – მივმართე მე.

...არსებითად რომ ვთქვათ, მესმის მისი შეშფოთება. მართლაცდა Morphium Hydrochloricum საშიში რამაა, მას ადამიანი ძალიან მალე ერვევა; მაგრამ განა ცოტაოდენი შეჩვევა მორფინიზმს ნიშნავს?..

სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ქალია ჩემთვის ერთადერთი ერთგული ადამიანი, რა თქმა უნდა, ის უნდა იყოს ჩემი ცოლი. ის ქალი კი უკვე დავივიწყე, ამისთვის კი დიდი მადლობა მორფს...

8 აპრილი, 1917 წ.

ეს ხომ ტანჯვაა.

9 აპრილი

რა საშინელია გაზაფხული.

ეშმაკი ფლაკონში, კოკაინია ეშმაკი ფლაკონში!

მისი მოქმედება ასეთია:

2%-იანი ხსნარით ერთი ინიექციის გაკეთების შემდეგ ელვისებური სისწრაფით გეუფლება სიმშვიდე, რომელიც მყისვე გადადის ალტაცებასა და ნეტარებაში. ეს კი მხოლოდ ერთი-ორი წუთი გრძელდება, რის შედეგადაც ყველაფერი ისე ქრება, თითქოს არაფერი ყოფილა და იწყება ტკივილი, წყვილი, ჯოჯოხეთი; გაზაფხული გრიალებს და გრგვინავს, შავი ფრინველები შიშველი ხეების ტო-

ტებზე დაფრინავენ. შორს შავი ჯაგარა ტყე ცისკენ ილტვის და მიზიგზაგებს, მის უკან კი ლამის ნახევარ ცას მოსდებია და ლაპლაპებს გაზაფხულის პირველი დაისი.

ნაბიჯებით ვზომავე ექიმისთვის განკუთვნილი ჩემი ბინის დიდ და უკაცრიელ ოთახს; ბოლთას ვცემ ირიბად, დიაგონალზე, ფანჯრიდან კარამდე და კარიდან ფანჯრამდე. რამდენი გზობა შეიძლება გავაკეთო? თხუთმეტი ან თექვსმეტი, მეტი არა. შემდეგ კი უნდა მივბრუნდე საძინებელში, იქ კი ფლაკონის გვერდით დოლბანდზე დევს შპრიცი, ვიღებ მას ხელში, იოდს ზერელედ ვისვამ დაჩხვლეტილ ბარძაყზე და შემყავს ნემსი კანქვეშ. არავითარ ტკივილს არ ვგრძნობ, ოჰ, პირიქით, ეიფორიის მოლოდინში წინასწარ განვიცდი სიამოვნებას. აი, ისიც არ იგვიანებს. ამას იმითიც ვხვდები, რომ გარმონის ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ხრინწიანი ბგერები ანგელოზთა გალობად მეჩვენება, ხოლო დაბერილი საბერვლების უხეში და ტლანქი ბანი ციურ ქოროსავით ჩამესმის; ეს ხომ გაზაფხულის მოსვლით გალაღებული დარაჯი ვლასი წინკართან ჩამომჯდარა და გარმონზე უკრავს, მუსიკის ხმა კი ფანჯრიდან ყრუდ და შორეულად ძლივს აღწევს ჩემამდე, ერთი წამიც და სისხლში მოხვედრილი კოკაინი ყოველგვარი ფარმაკოლოგიისთვის უცნობი და იდუმალი კანონის თანახმად, რალაც სიახლედ გარდაიქმნება. ვიცვი ეს რაც არის, ეს არის ჩემი სისხლის დემონთან შერწყმა... წინკარზე მთლად დადუმდა ვლასი; აჰ,

როგორ მეზიზღება იგი, ეს დაისიც აღარ წყნარდება, გაუთავებლად ბორგავს და ლამის შინაგანად გადამბუგოს... აი, ასე მეორდება რამდენჯერმე მთელი საღამო, ვიდრე არ შევიგრძნობ, რომ მონამლული ვარ. გული ამოვარდნაზე მაქვს, ისე მიცემს, რომ მის ფეთქვას ვგრძნობ ხელებში, საფეთქლებზე, ყველგან... შემდეგ იგი სადღაც უფსკრულში იკარგება და არის წამები, როცა ვფიქრობ, ექიმი პოლიაკოვი სიცოცხლეს ველარ დაუბრუნდება.

13 აპრილი.

მე – ბედკრული ექიმი პოლიაკოვი, ამა წლის თებერვალში მორფინიზმით დავსნეულდი და ვაფრთხილებ ყველას, ვისაც ჩემნაირი ხვედრი ერგო წილად, რომ არ ეცადოთ მორფი შეცვალოთ კოკაინით. კოკაინი ვერაგი და საშინელზე საშინელი შხამია. გუშინ ანამ ქაფურით ძლივს მომაბრუნა, დღეს კი ცოცხალ-მკვდარივით ვარ.

6 მაისი, 1917.

დიდი ხანია დღიურისთვის ხელი არ მიხლია. ძალიან დასანანია, იმიტომ, რომ არსებითად ეს დღიურები კი არა, ავადმყოფობის ისტორიაა და როგორც ჩანს, მე პროფესიონალური მიზიდულობა მაქვს იმ მოკეთის მიმართ, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე ჩემი ერთადერთი მეგობარია (თუ არ ჩავთვლით ჩემს მჭმუნვარე და მუდამ მოტირალ მეგობარს – ანას).

ამრიგად, თუ შევადგენთ ავადმყოფობის ისტორიას, ის ასეთი იქნება: მორფს ვიკეთებ დღე-ღამის

განმავლობაში ორჯერ: დღის 5 საათზე (სადილის შემდეგ) და ღამის 12 საათზე ძილის წინ; ვიშხაპუნებ სამპროცენტთან ხსნარს ორი შპრიცით.

მაშასადამე, ერთ გაკეთებაზე ვიღებ – 0,006-ს.
ეს საკმაოდ ბევრია!

ჩემი წინანდელი ჩანაწერები, ცოტა არ იყოს, ისტერიკულია. მგონი, ვაზვიადებ, რადგან საშიშროებას ეს სულაც არ წარმოადგენს და შრომის უნარზეც არ მოქმედებს. პირიქით, წინა საღამოს გაკეთებული ინიექციის შემდეგ მთელი დღე თავს მშვენივრად ვგრძნობ; შესანიშნავად ვართმევ თავს ოპერაციებს, არაჩვეულებრივი სიზუსტით ვადგენ რეცეპტურას და ექიმის პაციოსან სიტყვას ვიძლევი, რომ პაციენტებს არავითარ ზიანს არ მიაყენებს და არც ავნებს ჩემი მორფინიზმი... მე სხვა რამ მანუხებს, სულ მეჩვენება, რომ ვიღაც მიხვდება ჩემს მანკიერებას. ძალზე მიმძიმს, როცა ავადმყოფების მიღების დროს ზურგს უკან ვგრძნობ ასისტენტი ფერშლის აუტანელ გამომცდელ მზერას.

სისულელეა! იგი ვერაფერსაც ვერ ხვდება; ანდა რაზე უნდა შემეტყოს. შესაძლოა, მხოლოდ თვალის გუგები მქონდეს საეჭვო და ისიც მხოლოდ საღამოს, ხოლო საღამოობით არც ვხვდები მას და არც თვალებში ვეჩხირები.

ჩვენი აფთიაქის საგრძნობლად შემცირებული მორფის მარაგის შესავსებად სამაზრო ქალაქში მომინია წასვლამ. იქაც საკმაოდ უსიამოვნო მდგომა-

რეობაში აღმოვჩნდი. სანყოფის გამგემ გამომართვა ჩემი მოთხოვნის ოფიციალური ფურცელი, რომელშიც დიდი წინდახედულობით უამრავი უბრალო და ადვილად ხელმისაწვდომი წამალი ჩავწერე, ისეთი მაგალითად, როგორც კოფეინია (რომელიც ჩვენ უამრავი გვაქვს), თან მკითხა:

– 40 გრამი მორფი?

ბავშვივით თვალები სად წამელო არ ვიცოდი; ვიგრძენი, რომ ვწითლდებოდი. ის კი აგრძელებდა:

– ასეთი რაოდენობა არ გვაქვს, ათი გრამი შემიძლია მოგცეთ.

შეიძლება მართლაც არ ჰქონდათ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ის ჩასწვდა ჩემს საიდუმლოს, თან გამომცდელად მიყურებს და თვალებით მჭამს, მე კი ვლელავ და ვიტანჯები.

არა, არა, გუგები და მხოლოდ გუგებია ჩემი დამლუპველი, ამიტომ კარგად უნდა დავიმახსოვრო, რომ, როგორც წესი, სალამოობით არავის უნდა შევეჩებო; ამისთვის კი ჩემს მედპუნქტზე შესაფერად გილს ვერსად ვნახავ. აი, უკვე ნახევარ წელზე მეტია, კაციშვილს ვერ ვხედავ ჩემი ავადმყოფების გარდა, მათ კი ჩემი დარდი სულაც არა აქვთ.

18 მაისი.

რა დახუთული ღამეა. ჭექა-ქუხილია მოსალოდნელი. ტყის იქით შავი ღრუბელი უზარმაზარი ფაშვივით იზრდება და იბერება. აი, კიდეც იელვა მკრთალად და ხანმოკლედ, თუმცა შიშის მომგვრელად, ჭექა-ქუხილი იწყება.

წიგნი მაქვს გადაშლილი და ვკითხულობ მორფისგან თავშეკავებისა და დათმენის შესახებ:

„ღრმა მოუსვენრობა, შიშები და ნალვლიანი გუნება-განწყობა, გაღიზიანება, მეხსიერების დაქვეითება, ხანდახან ჰალუცინაციები და ცნობიერების მცირედი გაბუნდოვანება“... ჰალუცინაციები ნამდვილად არ მქონია, ხოლო, რაც შეეხება ყველაფერ დანარჩენს, უნდა ვთქვა, რომ ეს არის უფერული, უსულგულო და არაფრის მთქმელი სიტყვები!

„სევდიანი გუნება-განწყობა!..“

მე, ამ საშინელი სენით დაავადებული ადამიანი, ვაფრთხილებ ექიმებს, რომ ისინი უფრო ღმობიერად მოექცნენ თავიანთ პაციენტებს. ნალვლიანი გუნება-განწყობა კი არა, ნელი კვდომა ეუფლება მორფინისტს იმ შემთხვევაში, თუ მას ერთი ან ორი საათით მიახლოებენ შეუზღუდეს მორფის მიღება. ჰაერი ხომ საჭმელი არ არის, ის არც ანაყრებს და არც აკმაყოფილებს. ორგანიზმში ერთი უჯრედიც არ არის, რომ სურვილი და ნდომა არ კლავდეს, მაგრამ რისი სურვილი – ამისი გადმოცემა ძალიან ძნელია. ერთი სიტყვით, ადამიანი აღარ არსებობს, ის გამოთიშულია ცხოვრებისგან, მოძრაობს, წუხს და იტანჯება ლეში. მას აღარაფერი სურს, აღარაფერზე ფიქრობს, გარდა მორფისა.

წყურვილით სიკვდილი სანეტარო – საოცნებოა და სამოთხეს ჰგავს მორფის ნდომასთან შედარებით. ასე ალბათ მხოლოდ ცოცხლად დამარხული თუ ყლაპავს კუბოში დარჩენილ ჰაერს და გულმ-

კერძს იხოკავს ფრჩხილებით. ასე ცეცხლშენთებულ
ლი ერეტიკოსი გმინავს და წრიალებს, როცა მის ფე-
ხებს ცეცხლის ალი მისწვდება...

ეს არის მოკვდინება – ნელი, მტანჯველი, შეუბ-
რალელებელი მოკვდინება.

აი, რა იმალება პროფესორის ამ სიტყვებს მიღმა
– „ნაღვლიანი გუნება-განწყობა“.

მეტი აღარ შემიძლია, ავდექი და კვლავ შევიშხა-
პუნე. ამოვისუნთქე, კიდევ ერთხელ ამოვისუნთქე,
ცოტა შვება ვიგრძენი, გულის კოვზთან ჰაეროვანმა
სიგრილემ დამიარა.

სამი შპრიცი 3%-იანი ხსნარით. შუალამემდე ეს
ნამდვილად მქყოფა.

სისულელეა ეს ჩემი ჩანანერი, სისულელე. არც
ისეთი საშიშია ეს ყველაფერი, ადრე თუ გვიან ამას
თავს დავანებებ. ახლა კი საჭიროა ძილი, მხოლოდ
ძილი.

მორფთან ამ უაზრო ჭიდილით მხოლოდ ვიტან-
ჯავ და ვისუსტებ საკუთარ თავს.

(შემდეგ კი რვეულში ოცი ფურცელია ამოგლე-
ჯილი).

ცოტა უკეთ რომ გავხდები, ჩავინერ ამ საშინელ
განცდებს.

14 ნოემბერი. 1917 წ.

ამრიგად, ექიმი... (გვარი საგულდაგულოდაა წაშ-
ლილი) მოსკოვის ერთ-ერთი კლინიკიდან გაქცევის
შემდეგ ისევ სახლში ვარ. მოდის ნვიმა და საბურ-

ველით ფარავს ჩემ ირგვლივ მთელ სამყაროს. დაე, დაფაროს, დამეკარგოს თვალთაგან, არაფრადაც არ მჭირდება, ისევე როგორც ამქვეყნად მეც არავის ვჭირდები.

სროლის ხმა და გადატრიალება კლინიკაში ყოფნის დროს გადავიტანე, მაგრამ მოსკოვის ქუჩებში ბრძოლის დაწყებამდე შეპარვით და ქურდულად მივიღე გადაწყვეტილება, შემენყვიტა აქაური მკრუნალობა. მადლობას ვუხდი მორფს იმისთვის, რომ ასეთი მამაცი გავხდი. არავითარი სროლის არ მეშინია, და საერთოდ, რამ შეიძლება შეაშინოს ადამიანი, რომელიც ფიქრობს მხოლოდ საუცხოო ღვთაებრივ კრისტალებზე. აი, ფერშალი ქალი კი ზარბაზნის ბათქაბუთქისგან სულ შიშშია და დატერორებულს ჰგავს (აქ ამოხეულია ფურცელი)

... ამო... ფურცელი, რომ არავინ წაიკითხოს ის სამარცხვინო ამბავი, თუ როგორ მოიპარა საკუთარი პიჯაკი დიპლომიანმა ადამიანმა, თან მხდალად და ქურდულად გაიპარა.

რა პიჯაკზეა ლაპარაკი!

საავადმყოფოს საცვალისც თან გავიყოლე. სად მქონდა იმის ჯავრი! მეორე დღეს კი გავიკეთე თუ არა ნემსი, ცოტა გამოვცოცხლდი, გონს მოვედი და ექიმ N-თან მივბრუნდი. ის თითქოს თანაგრძნობით შემხვდა, მაგრამ ამის მიღმა აშკარა ზიზლი ვიგრძენი, და განა ეს სწორია? ის ხომ ფსიქიატრია და უნდა ესმოდეს, რომ თავს ყოველთვის ვერ ვერევი, მე ხომ ავად ვარ, როგორ შეიძლება ჩემი ათვალწუნება? რა

თქმა უნდა, საავადმყოფოს საცვალი დავუბრუნე.
მან მადლობა გადამიხადა და დაუმატა:

- ახლა რას აპირებთ?

მკვირცხლად ვუპასუხე (იმ დროს ეიფორიას გან-
ვიცდიდი):

- გადავწყვიტე, დავუბრუნდე ჩემს მიყრუებულ
მედპუნქტს, მით უფრო, რომ შვებულება უკვე გამი-
თავდა. დიდ მადლობას მოგახსენებთ დახმარებისთ-
ვის, გაცილებით უკეთესად ვგრძნობ თავს. მკურნა-
ლობას ჩემს სამუშაო ადგილზე გავაგრძელებ.

მან კი აი, რა მითხრა:

- თქვენ სულაც არ გრძნობთ თავს უკეთესად.
სასაცილოა, როგორ მეუბნებით ამას მე. ერთი შე-
ხედვაც კი საკმარისია თქვენს თვალის გუგებზე და
ყველაფერი ნათელი ხდება...

- პროფესორო, უცებ ხომ არ გადავეჩვევი... გან-
საკუთრებით მაშინ, როცა ირგვლივ ასეთი ამები
ხდება... ამ სროლამ და ბათქაბუთქმა მთლად გამო-
მიყვანა წყობიდან.

- დამთავრდა, რაც იყო; აი, უკვე ახალი ხელი-
სუფლებაა. დარჩით ისევ კლინიკაში.

მაშინვე გამახსენდა ყველაფერი... ცივი დერეფ-
ნები... ზეთის საღებავით შეფერილი ცარიელი კედ-
ლები... ისიც გამახსენდა, თუ როგორ მივბობლავ-
დი ფეხმოტეხილი ძაღლივით, ...ველოდებოდი რა-
ღაცას, რას? ცხელ აბაზანას? 0,005-იან მორფის
ნემსს?.. ეს ის დოზაა, რომელიც არ კლავს, მაგრამ
კაეშანი ისევ რჩება, გტანჯავს და ტვირთად გან-

ვება. გამახსენდა უიმედო ღამეები, როცა პერანგს ტანზე ვიგლეჯდი და უშედეგოდ ვევედრებოდი ყველას ჩემს გარეთ გაშვებას.

გამოიგონეთ მორფი? შექმენით ხომ ღვთაებრივი მცენარის გამხმარი კნატუნა მარცვლებისგან, მაშინ ნება იბოძეთ და გამონახეთ უმტკივნეულოდ მკურნალობის მეთოდიც!

პროფესორს ჯიუტად გავუქნიე თავი. იგი წამოდგა, მე შემეშინდა და კარს მივვარდი, მეგონა, ჩემი ჩაკეტვა და ძალით დატოვება უნდოდა.

პროფესორი წამოჭარხლდა.

– მე ციხის ზედამხედველი არ ვარ და არც აქაურობაა ბუტირის ციხე, – წარმოთქვა საკმაოდ გაღიზიანებულად. – დაჯექით და დაწყნარდით. ორი კვირის წინ ტრაბახობდით, სრულიად ნორმალურად ვგრძნობ თავსო, ახლა კი, – დაუმატა მან და საოცარი ოსტატობით გაიმეორა შიშის გამომხატველი ჩემი ჟესტი, – მე არ გაკავებთ.

– პროფესორო, დამიბრუნეთ ჩემი ხელწერილი, ძალიან გთხოვთ, გემუდარებით, – ვთქვი და გულსაკლავად ამითრთოლდა ხმა.

– ინებეთ!

მან უჯრის გასაღები ააჩხაკუნა, ამოიღო ჩემი ხელწერილი და გამომიწოდა (მასში ეწერა, რომ პირობას ვიძლეოდი, გავივლიდი ორთვიანი მკურნალობის კურსს სრულად და თუ საჭირო იქნებოდა, კიდევ დავრჩებოდი – და ა.შ.... ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ტიპის საბუთი იყო).

აკანკალებული ხელით გამოვართვი ფურცელი, შევინახე და თან წავილულულე:

– დიდ მადლობას მოგახსენებთ.

შემდეგ ავდექი, მოვემზადე წასასვლელად და დავტოვე იქაურობა.

– ექიმო პოლიაკოვ! – მომესმა ზურგს უკან პროფესორის ხმა, მივტრიალდი და თან კარის სახელური მაგრად მეჭირა, – აი, რა! კარგად დაფიქრდით, გონს მოეგეთ; შეიგნეთ, რომ მოგვიანებით მაინც მოხვდებით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ უკვე გაუარესებული მდგომარეობით. მე, როგორც ექიმს, ყოველთვის ანგარიშს გინვედით და ახლაც უნდა გითხრათ, რომ თქვენ გელოდებათ სულიერი განადგურება. გეთაყვა, თქვენი მუშაობაც არ შეიძლება და დანაშაულიც კი არის, რომ თქვენს სამსახურში არ გავაგებინოთ ყოველივე ეს.

შევკრთი და ვიგრძენი, როგორ წამივიდა ფერი სახეზე (თუმცა სადღა მაქვს ფერი?).

– ძალიან გთხოვთ, პროფესორო, – ამოვთქვი ყრუდ, – არავის უთხრათ... ხომ დამითხოვენ სამსახურიდან, ავადმყოფის სახელი დამერქმევა... რატომ მიკეთებთ ამას?

– კარგი, წადით, წადით, – განაწყენებით ამოიძახა მან, – არაფერს ვიტყვი, მაგრამ იცოდეთ, მაინც მოგიწევთ აქ დაბრუნება...

წავედი, მაგრამ ვფიცავ, სირცხვილისა და გულის ტკენისგან მთელი გზა ვკანკალებდი... რატომ?

ადვილი გასაგებია რას განვიცდიდი. აჰ, ჩემო ერთგულო მეგობარო, ჩემო დღიურო! შენ ხომ მაინც არ მილაღატებ და არ გამცემ? პიჯაკზე კი არ ვფიქრობ, საქმე იმაშია, რომ კლინიკაში მორფი მოვიპარე, 3 კუბიკი კრისტალებში და ერთპროცენტიანი ხსნარის 10 გრამი.

ამის გარდა, აი, კიდევ რა არის საინტერესო, გასაღები ჩანდა კარადაზე, მაგრამ რომ არ ყოფილიყო, ნეტავ, გავტეხდი თუ არა კარადის კარს? გულახდილად უნდა ვთქვა – გავტეხდი.

ამრიგად, ექიმი პოლიაკოვი ქურდია. ალბათ ამ ფურცლის ამოხევას მოვასწრებ.

ჩემი მუშაობის შესახებ კი ნამდვილად გადააჭარბა, რა თქმა უნდა, დეგენერატი ვარ, ეს სრული სიმართლეა. როგორც ჩანს, უკვე მენყება პიროვნული რღვევა, მაგრამ მუშაობა ნამდვილად შემოიძლია. ჩემს პაციენტებს ჩემგან საფრთხე არ ემუქრებათ.

რატომ მოვიპარე? სრულიად უბრალოდ. ვიფიქრე, გადატრიალებასთან დაკავშირებული ბრძოლებისა და ალიაქოთის დროს მორფს ვერსად ვიშოვი-მეთქი. მაგრამ, როცა ყველაფერი ჩანყნარდა, ერთ განაპირა აფთიაქში ვიშოვე ერთპროცენტიანი ხსნარის 15 გრამი – რა სანვალებელი და სახათაბალოა (9 შპრიცით დამჭირდება შეშხაპუნება!).

რა დამამცირებელი იყო ეს ყველაფერი. ფარმაცევტმა ბეჭდიანი რეცეპტი მომთხოვა, თან შუბ-

ლმეჭმუხნილი ეჭვის თვალთ მიყურებდა. სამაგეროდ, მეორე დღეს, როცა ცოტა გონს მოვეგე, გამოვწერე რეცეპტი საავადმყოფოსთვის (რა თქმაუნდა, ყოველი შემთხვევისთვის შიგ კოფეინი და ასპირინიც ჩავწერე) და ამ რეცეპტით ყოველგვარი გართულების გარეშე სხვა აფთიაქში თავისუფლად ვიყიდე 20 გრამი... კრისტალებში. ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა მეშინოდეს და რატომ უნდა ვიმალებოდე? მართლაცდა შუბლზე ხომ არ მანერია, რომ მორფინისტი ვარ? ვისი რა საქმეა?

ვითომ ასე ღრმაა ეს პიროვნული რღვევა? ამის პასუხად ჩემი ჩანაწერები მომყავს. მართალია ისინი მთლად გამართულად არ არის დაწერილი, მაგრამ მერე რა, მე ხომ მწერალი არა ვარ! განა მათში უგუნურება გამოსჭვივის? მგონი, სრულიად საღად ვაზროვნებ და ვმსჯელობ.

მორფინისტისთვის ერთი ისეთი ბედნიერება არსებობს, რომელსაც ვერავინ წაართმევს მას. – ეს ცხოვრების სრულ მარტოობაში გატარების უნარია. მარტოობა კი ეს არის – მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოსაზრებები, სიმშვიდე და მყუდროება, განჭვრეტა და ბრძნული შეგონებები.

დგება ღამე. ჩუმი და მრუმე. სადღაც მოშორებით შიშველი ტყეა. მის იქით პატარა მდინარე, სიცივე და შემოდგომა. უფრო შორს, ძალიან შორს ყალყზე დამდგარა შმაგი და დაუდგრომელი მოსკოვი. მე

კი არაფერი მეხება, არც არაფერი მინდა და გულიც არსად მიმინევს.

ანათე, ჩემო ლამპავ, ნყნარად და მშვიდად! მოსკოვის თავგადასავლების შემდეგ დასვენება მწყურია და თან მათი დავინყებაც მინდა. და დავივინყე კიდეც.

დავივინყე.

ყინვამ მოუჭირა. ირგვლივ ყველგან ზაშრა. გარეთ გამოვედი და ბილიკით მდინარისკენ გავწიე; მე ხომ თითქმის არასოდეს ვარ ჰაერზე და არ ვსუნთქავ სუფთა ჰაერს.

პიროვნების რღვევა პიროვნების რღვევაა, მაგრამ მაინც ვცდილობ თავშეკავებას. მაგალითად, დღეს დილით არ შემიშხაპუნებია (ახლა დღის განმავლობაში სამჯერ ვიკეთებ სამ-სამ შპრიცს 4%-იანი ხსნარით). რა თქმა უნდა, ძალზე მოუხერხებელია, თან ანაც მეცოდება. ჩემი ყოველი ახალი ინიექცია მას ბოლოს უღებს. ოჰ, რა ადამიანია!

მაშ ასე, ძალიან მიჭირდა დათმენა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მეწვალა და რაც შეიძლება მეტად გამეჭიანურებინა მორფის გაკეთება, ამიტომაც გავწიე მდინარისკენ (ერთი დავენახე მაინც პროფესორ N-ს, რომ ჩემი ცქერით დამტკბარიყო).

ირგვლივ კაციშვილი არ ჩანდა. არავითარი ხმა, ჩქამიც კი არ ისმოდა. მწუხრი არ ჩამონოლილიყო, მაგრამ თითქოს სადღაც მიმალულიყო და მოცოცავდა ჭანჭრობში, ძირკვებსა და კუნძებს შორის. მოცოცავდა და მოცოცავდა ჩვენი ლევკოვოს საავადმყოფოსკენ... ჯოხზე დაყრდნობილმა მეც ღოღ-

ვა დავინყე (სიმართლე ითქვას, ამ ბოლო დროს ძალზე დავსუსტდი და ძალა გამომეცალა).

უცებ ფერდობზე დავინახე, მდინარის მხრიდან ჩემკენ როგორ მოექანებოდა ყვითელთმიანი მობუცი ქალი, თავისი ჭრელი და ფრიალა ქვედაკაბის ქვეშ იგი მინაზე ფეხებს თითქოს არ აკარებდა.

პირველად ვერც მივხვდი, რაში იყო საქმე და არც შემშინებია. მგონი, ჩვეულებრივი დედაბერი იყო, მაგრამ გამიკვირდა, რატომ ეცვა მხოლოდ კოფთა და რატომ იყო თავშიშველი ამ სიცვიეში, ანდა საიდან გაჩნდა აქ? ვინ არის? ლევკოვოს მედპუნქტში ავადმყოფების მიღებას როცა ვამთავრებდით ხოლმე და გლეხების ბოლო მარხილები თვალს ეფარებოდნენ, ირგვლივ 10 ვერსზე კაცის ჭაჭანება არსად იყო. მხოლოდ ნისლი, ჭანჭრობი და ტყე – მეტი არაფერი, შემდეგ კი მივხვდი და ცივმა ოფლმა დამასხა. დედაბერი კი არ მორბოდა, მართლაც რომ მოფრინავდა და მინას არ ეხებოდა. მერე და რა მოხდა?

ამას სულაც არ გავუოცებოვარ; საოცარი იყო ის, რომ მას ხელში ფინალი ეჭირა, ნეტავი ვიცოდე, რატომ შემეშინდა ასე ძალიან, რატომ? ცალ მუხლზე დავეცი, ხელები სახეზე ავიფარე, რომ ის მოხუცებული აღარ დამენახა. შემდეგ მოვტრიალდი და სახლისკენ გავიქეცი, თითქოს სახლი იყო ჩემი მშველელი და მხსნელი; არაფრის სურვილი აღარ მქონდა გარდა იმისა, რომ გული არ გამხეთქოდა და რაც შეიძლება სწრაფად შემერბინა თბილ ოთახში, დამენახა ცოცხალი ანა და... მორფი...

როგორც იქნა, მივირბინე...

სისულელეა. უმნიშვნელო ჰალუცინაციაა, შემთხვევითი ჰალუცინაცია.

19 ნოემბერი.

პირღებინება მაქვს. ეს ძალიან ცუდია.

21-ში ღამით მე და ანამ ვილაპარაკეთ.

ანა – ფერშმაღმა იცის.

მე – ნუთუ მართლა? არა უშავს, ჩემთვის უკვე სულერთია.

ანა – თუ ქალაქში არ წახვალ, თავს ჩამოვიხრჩობ, გესმის თუ არა, შეხედე შენს ხელებს, შეხედე?

მე – ცოტა მაკანკალებს, მაგრამ ეს სულაც არ მიშლის ხელს მუშაობაში.

ანა – შეხედე, შეხედე რას გიგავს ხელები, ძვალი და ტყავი ხარ ცარიელი. წადი აქედან, სერიოზა, გთხოვ და გაფიცებ ყველაფერს, წადი.

მე – შენ?

ანა – წადი, დატოვე აქაურობა, იღუპები, იღუპები.

მე – მგონი, გაზვიადებულად არის ნათქვამი, თუმცა ვერ გამიგია და ძალიან მიკვირს, ასე უცებ რატომ დავსუსტდი? ჯერ წელიწადიც არ არის, რაც ავად გავხდი, როგორც ჩანს, ასეთი აგებულება მაქვს.

ანა (ნალვლიანად) – რამ შეიძლება გიშველოს და რა მოგაბრუნებს ცხოვრებისკენ? იქნებ ამაში დაგეხმაროს შენი პირველი ცოლი – ამნერისი.

მე – ოჰ, არა, არა, დანყნარდი, დანყნარდი. მორ-

ფის მაღლობელი ვარ, მან მიხსნა იმ ქალისგან, მის
მაგივრად მორფი შევიძინე.

ანა – ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ვქნა, როგორ მოვიქ-
ციე?

მეგონა, მხოლოდ რომანებში შეიძლება შეხვდე
ისეთ ადამიანს, როგორიც ანაა და თუკი ოდესმე გა-
მოვკეთდი, ამ ქალს საბოლოოდ დავუკავშირებ ჩემს
ბედს. ნეტავ მისი ქმარი სულაც არ დაბრუნდებოდეს
გერმანიიდან!

27 დეკემბერი.

დიდი ხანია ამ რვეულისთვის ხელი არ მიხლია.

კარგად ჩავიფუთნე, ცხენებიც მზადაა. ბომგარ-
დი გადავიდა გორელოვოს მედპუნქტიდან და მის
შემცვლელად მე გამგზავნეს, ჩემს საექიმო უბან-
ზე კი ექიმი ქალი იმუშავებს. ანა აქ რჩება... ჩამოვა
ხოლმე ჩემთან, მიუხედავად იმისა, რომ მანძილი 30
ვერსია.

მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ავადმყო-
ფობის გამო ერთთვისანი შვებულება ავიღო და ისევ
იმ პროფესორთან გავემგზავრო მოსკოვში. კიდევ
დავწერ ხელწერილს და არაადამიანურ ტანჯვას შე-
ვუდგები იმავე საავადმყოფოში.

მშვიდობით, ლევკოვო. ნახვამდის, ანა.

1918 წელი

იანვარი.

არსადაც არ წავედი. ვერ შეველიე ჩემს კრისტან

ლოვან კერძს. მკურნალობა აუცილებლად დამლუ-
პავს. სულ უფრო ხშირად მეუფლება ის აზრი, რომ
სულაც არ მჭირდება მკურნალობა.

15 იანვარი.

დილით პირღებინება მქონდა. მიმწუხრზე კი 4%-ია-
ნი ხსნარით სამი ნემსი გავიკეთე. იგივე რაოდენობა –
ღამით.

16 იანვარი ოპერაციის დღეა, ამიტომ დიდხანს
მინდა თავი შევიკავო, – შუაღამიდან – საღამოს 6
საათამდე.

მწუხრი და მოსაღამოება ჩემთვის ყველაზე ცუ-
დი დროა. უკვე სახლში ვიყავი, როცა მკაფიოდ ჩა-
მესმოდა მონოტონური და შიშის მომგვრელი ხმა,
რომელიც იმეორებდა: – სერგეი ვასილიევიჩ, სერ-
გეი ვასილიევიჩ.

შევიშხაპუნე თუ არა მორფი, ეს ყველაფერი
შენყდა.

17 იანვარი.

ქარბუქია და ამიტომ ავადმყოფები არ გვყავს.
დათმენისა და თავშეკავების დროს ფსიქიატრი-
ის სახელმძღვანელოს ვკითხულობდი, რომელმაც
ჩემზე შემადრწუნებელი შთაბეჭდილება დატოვა.
აღარაფრის იმედი აღარ მაქვს. ნამდვილად ვილუ-
პები.

პატარა ჩქამიც კი მაშინებს; დათმენის დროს ყვე-
ლა მძულს და მეზიზღება, თან ადამიანების მეშინია.
ეიფორიის დროს კი ყველა მიყვარს, თუმცა მაინც
მარტოობას ვამჯობინებ.

დიდი სიფრთხილე მმართველს – აქ ხომ ორი ფერ-
შალი და ორი ბეზიაქალი მუშაობს. ყურადღებით
უნდა ვიყო, რომ რაიმე არ შემამჩნიონ. ძალიან გა-
მოცდილი კი გავხდი, და ვერაფერს ხვდებიან. სა-
ნამ მორფი მეყოფა, არაფერი შემეტყობა. ნემსის
გასაკეთებელ ხსნარს ან თვითონ ვიმზადებ, ანდა
წინასწარ რეცეპტს ვუგზავნი ანას. მან ერთხელ დი-
დი შეცდომა დაუშვა და შეეცადა ჩემთვის ხუთპრო-
ცენტიანი ხსნარი ორპროცენტიანით შეეცვალა. სა-
შინელ ყინვასა და ქარბუქში თვითონვე ჩამომიტანა
ლევკოვოდან.

ამის გამო ღამით ძალიან ვეჩხუბე. როგორც იქ-
ნა, დავარწმუნე, რომ მსგავსი რამ აღარ გაემეორე-
ბინა. აქაურ მედპერსონალს კი გამოვუცხადე, რომ
ავად ვარ. დიდხანს ვიმტვრიე თავი იმაზე, რა ავად-
მყოფობა მომეგონებინა, ბოლოს ვთქვი, რომ ფეხე-
ბის რევმატიზმი და მძიმე ნევრასთენია მაქვს, ყვე-
ლა გავაფრთხილე, თებერვალში შვებულებას ვიღებ
და სამკურნალოდ მივემგზავრები მოსკოვში-მეთქი.
ყველაფერი კარგად მიდის, ვმუშაობ შეუფერხებ-
ლად. თუმცა ოპერაციების გაკეთებას ვერიდება იმ
დღეებში, როცა დაუოკებელი პირღებინება მაქვს
და ზედ სლოკინიც დაერთვება ხოლმე, ამის გამო
კუჭის კატარიც დავუმატე ჩემს დაავადებებს. აჰ,
ძალზე ბევრია ერთი ადამიანისთვის ამდენი დაავა-
დება.

აქაურ პერსონალს ვებრალები და მაიძულებენ
შვებულება ავიღო.

გარეგნულად ასე გამოვიყურები: გამხდარი, ცვი-
ლისფრად მიმტკნარებული.

აბაზანა მივიღე და საავადმყოფოს სასწორზე
ავიწონე. გასულ წელს ჩემი წონა იყო 4 ფუთი, ახლა
კი – 3 ფუთი და 15 გირვანქა. სასწორის ისარს შევ-
ხედე და შიშმა ამიტანა, თუმცა მალე გადამიარა, წი-
ნა მხარზე ჩირქოვანი მუწუკები არ მცვილდება, ასე-
ვე ბარძაყებზე. სანემსე ხსნარს სტერილურად ვერ
ვამზადებ, გარდა ამისა, წასასვლელად ვემზადებო-
დი, მეჩქარებოდა და სამჯერ გამოუხარშავი შპრიცი
შევიშხაპუნე, ეს ხომ დაუშვებელია!

18 იანვარი.

ჰალუცინაცია მქონდა და ასეთი რამ მომეჩვენ-
ნა: ჩაბნელებულ ფანჯრებში ველოდები საოცრად
ფერმიხდილი ადამიანების გამოჩენას. ეს აუტანელი
რამაა და ვინაიდან ერთპირი შტორები კიდია, ავი-
ღე საავადმყოფოს დოლბანდი და ჩამოვაფარე; ჩემი
საქციელის მიზეზი კი ვერავის ავუხსენი.

აჰ, ეშმაკმა დალახვროს! ბოლოს და ბოლოს, ჩემი
ყოველი ქმედებისთვის რატომ უნდა მჭირდებოდეს
ახსნა-განმარტების მიცემა? მართლაც, ეს ცხოვრე-
ბა კი არა, რალაც სატანჯველია. გამართულად და
გასაგებად გადმოვცემ ჩემს აზრს? მგონი, სრული-
ად გასაგებად. რა სასაცილოა ეს ცხოვრება.

19 იანვარი.

დღეს, ავადმყოფების მიღების დროს, ცოტა შე-
ვისვენეთ, სააფთიაქო ოთახში ჰაპიროსს ვეწეოდი

და თან ვსაუბრობდით, ფერშალი ჰყვებოდა (რა-
ტომლაც სიცილით) იმის შესახებ, თუ როგორ სვამ-
და თურმე ერთი მორფინიზმით დაავადებული ფერ-
შალი ქალი ნახევარ-ნახევარ სირჩა ოპიუმს, ვინაი-
დან მორფის შოვნა არ შეეძლო. ამ მტანჯველი სა-
უბრის დროს თვალები სად წამელო, არ ვიცოდი: რა
იყო ამაში სასაცილო? როგორ მეზიზღება ეს ჩვენი
ფერშალი, რატომ იცინოდა, რატომ?

აფთიაქიდან ჩუმად გავიძურნე.

– განა ეს დაავადება სასაცილოა-მეთქი? – მინ-
დოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე, შევი... ჩემს
მდგომარეობაში ადამიანებთან დიდგულობა და ყო-
ყობა არ შეიძლება.

აჰ! ეს ფერშალი! ის ისეთივე უსულგულოა, რო-
გორებიც ფსიქიატრები, რომლებიც სულაც არ ცდი-
ლობენ დაეხმარონ ავადმყოფს. არ ცდილობენ, არა!

ეს ბოლო სტრიქონები დათმენის დროს დავწერე
და ამიტომაც მათში ბევრი უსამართლობაა.

მთვარიანი ღამეა. მისუსტებული ვნევარ პირლე-
ბინების შემდეგ. ხელების ანევატ კი არ შემიძლია,
ფანქრით ვხაზავ საკუთარ აზრებს; ამაყი და მედი-
დური აზრები კი მეუფლება, ბედნიერი ვარ რამდე-
ნიმე საათის განმავლობაში, შემდეგ კი ველოდები
ძილს. მთვარე დამყურებს, მას თავზე გვირგვინი
ადგას. ნემსის შემდეგ არაფრის აღარ მეშინია.

1-ლი თებერვალი.

ანა ჩამოვიდა. მთლად გაყვითლებულა, ავადაა.

შევიკალი ხელში, ბოლო მოვუღე, ნამდვილად დიდი ცოდვა მანევს. სიტყვა მივეცი, რომ თებერვლის შუა რიცხვებში გავემგზავრები.

ვითომ შევასრულებ დანაპირებს?

კი შევასრულებ, თუ ვიცოცხლე!

3 თებერვალი.

მაშ ასე: გორაკი, ყინულოვანი და უსასრულო, სწორედ ისეთი, საიდანაც ბავშვობაში ზღაპრული კაი ეშვებოდა ხოლმე. ჩემი ამ ბორცვიდან დაშვება უკანასკნელი იქნება და ვიცი, ქვემოთ რაც მელოდება. აჰ! ანა, დიდი მწუხარება გელის ჩემ გამო, რა თქმა უნდა, თუკი მართლა გიყვარდი.

11 თებერვალი.

გადავწყვიტე მივმართო ბომგარდს. რატომ მაინცდამაინც მას? იმიტომ, რომ ის ფსიქიატრი არ არის; ახალგაზრდა, ენერგიული და გულისხმიერი ადამიანია, თან ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარია.

მგონი არ ვცდები; კარგად მახსოვს იგი. იმედი მაქვს... ალბათ აუცილებლად თანამიგრძნობს; ყოველ ღონეს იხმარს... ნეტავი მოსკოვში წამიყვანდეს. მასთან ვერაფრით ვერ ჩავალ. შვებულება უკვე მქონდა. ახლა კი ვწევარ და საავადმყოფოშიც კი ვერ გადავდივარ. ფერშალს უმიზეზოდ დავწამე ცილი. იცინოდა, მერე რა მოხდა? მოვიდა ჩემთან, მომინახულა, უნდოდა ჩემთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ არც ვალაპარაკე და არც მოვუსმინე. ამის მიზეზიც

უნდა მეძებნა? არ მინდა მიზეზისა და საბაბის გამო-
გონება!

ბომგარდს წერილი უკვე გავუგზავნე.

ადამიანებო! ვის შეუძლია ჩემი დახმარება? წარ-
მოვთქვი პათეტიკური ტონით. ეს რომ ვინმემ წაი-
კითხოს, იფიქრებს, გამოგონილიაო. მაგრამ ვიცი,
არავინ წაიკითხავს.

ვიდრე ბომგარდს ბარათს მივწერდი, ყველაფე-
რი გავიხსენე. განსაკუთრებით კი ნოემბრის ის დღე
რკინიგზის სადგურში, როცა მოსკოვიდან გამოვრ-
ბოდი. რა საშინელი საღამო იყო. მოპარულ მორფს
ვიკეთებდი საზოგადოებრივ ტუალეტში... ეს ხომ
წამებაა... კარი კინალამ შემომიმტვრიეს, გნიასობ-
დნენ, ღრიანცელობდნენ, ისმოდა მჭახე და გამყი-
ნავი ხმები; მლანძღავდნენ, დიდხანს რატომ არ გა-
მოვდიოდი. მე კი ხელს ვერ ვიმორჩილებდი, კარის
საკეტი და ჩემი ხელი ერთნაირად ხტოდა, საცაა
კარი გაიღებოდა... მას შემდეგ ძირმაგარები დამ-
ჩემდა. ყოველივე ამის გახსენებაზე ღამით ტირილი
ამივარდა...

12 თებერვლის ღამე. ისევ ვტიროდი. ნეტავ, რას
მოასწავებს ეს ღამეული სისუსტე და აუტანელი გუ-
ნება-განწყობა?

1918 წლის 13 თებერვლის. დილა გორელოვკაში.
საკუთარ თავს მინდა მივულოცო, უკვე 14 საა-
თია მორფის გარეშე ვარსებობ, თენდება მქრქალად

და მოთეთროდ. მგონი, სრული გამოჯანსაღება და გამოკეთება მელის.

უკვე მომიმნიფდა აზრი, რომ აღარავინ მჭირდება ამქვეყნად. არც ბომგარდი და არც სხვა ვინმე. სირცხვილია ასე ცხოვრების გაგრძელება, მსგავსი ცხოვრება ერთი ნუთითაც კი აღარ შეიძლება. წამალი აგერ, ხელთა მაქვს.

ადრე რატომ არ მომაფიქრდა ეს?

აბა, ვინყებ. არავის წინაშე ბრალი არ მიმიძღვის, მხოლოდ საკუთარი თავი დავლუბე – და ანაც. უკვე აღარაფერი გამოსწორდება.

აღბათ დრო ყველაფერს განკურნავს. ასე მღეროდა ამნერისი, მისთვის, რა თქმა უნდა, ყველაფერი მარტივი და ადვილია.

ეს რვეული უნდა დარჩეს ბომგარდს. დამთავრდა, მორჩა...

1918 წლის 14 თებერვალს, გამთენიისას, შორეულ პატარა ქალაქში წავიკითხე სერგეი პოლიაკოვის ეს ჩანაწერები და ყოველგვარი ცვლილებების გარეშე მთლიანად გადმოვეცი.

მე ფსიქიატრი არა ვარ და დარწმუნებით არ შემიძლია ვთქვა, რამდენად საჭირო და ყურადსაღებია ისინი, თუმცა ჩემი აზრით, ძალიანაც საჭიროა.

ახლა კი თითქმის ათი წელია გასული და ბუნებრივია, მთლად გაქრა ამ რვეულის წაკითხვით გამოწვეული შიშიც და სინანულიც. ეს ბუნებრივია, მაგრამ ამჟამად, როცა პოლიაკოვის გვამი დიდი

ხანია ალბათ რაც გაიხრწნა და თვითონ ისიც თითქმის მიმავინყდა კიდეც, მისი ჩანაწერების წაკითხვამ კვლავ დიდად დამაინტერესა.

ნეტავი თუ საჭიროა ისინი? ვიღებ რა საკუთარ თავზე უდიდეს გამბედაობას, დადებითად ვპასუხობ ამ კითხვას.

ანა კირილოვნა 1922 წელს გარდაიცვალა პარტახტიანი ტიფით, იმავე სამედიცინო უბანზე, სადაც მუშაობდა. ხოლო პოლიაკოვის პირველი ცოლი – ამნერისი საზღვარგარეთაა და არც დაბრუნდება.

შეიძლება თუ არა გამოვაქვეყნო ჩანაწერები, რომლებიც მე მაჩუქეს?

რა თქმა უნდა, შეიძლება, და ვაქვეყნებ კიდეც. ექიმი ბომგარდი.

1927 წ.

შემოდგომა“.